საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეული სიფიცვაა, ფიცრებით და ჭიჭებით ბუჭთის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 4 აპრილი. 2017 წ. №70 (8207), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტერაქტი სანკტ-პეტერბურგში

გუშინ სანკტ-პეტერბურგის მეტროში აფეთქების შედეგად, სულ მცირე 10 ადამიანია დაღუპული. დაშავებულთა რაოდენობა კი 50-მდე აღწევს.

რუსეთის პროკურატურა მომხდარ აფეთქებას ტერაქტს უწოდებს. ფედერაციის საგამოძიებო უწყების წარმომადგენელმა ალექსანდრე კურენოიმ აღნიშნა, რომ პროკურორები ყველაფერს გააკეთებენ, რათა „ყველა ის მომენტი დააზუსტონ, რომლებმაც ხელი შეუწყო ტერაქტის განხორციელებას“.

* * *

სანკტ-პეტერბურგის მეტროში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებისთვის ცხელი ხაზი ამოქმედდა.

„ქ. სანკტ-პეტერბურგის მეტროსადგურებს „Сенная площадь“-ს „Технологический институт“-ს შორის მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოში საქართველოს ინტერესების სექციაში მოქმედებს ცხელი ხაზი: 7 926 926 2740.

ასევე 24-საათიანი ცხელი ხაზი მოქმედებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში: (+995 32) 294 50 50.

საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან სანკტ-პეტერბურგში, მოვუწოდებთ მაქსიმალურ კოორდინაციაში იყვნენ საქართველოს ინტერესების სექციის საკონსულო განყოფილებასთან და გაითვალისწინონ ადგილობრივი პოლიციის რეკომენდაციები“, — ნათქვამია განცხადებაში.

გიორგი კვირიკაშვილი სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში მომხდარი აფეთქების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ რუსეთში, სანკტ-პეტერბურგის მეტროში მომხდარი აფეთქების გამო, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს“...

ყოფილ მინისტრის მოადგილეს თავს დაესხნენ

შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გელა ხვედელიძეზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, შსს- მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, ამ დროისთვის აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს თავს საცხოვრებელ სახლთან, თარხნიშვილის ქუჩაზე დაესხნენ. არსებული ინფორმაციით, თავდასხმაში ორი ნიღბიანი პირი მონაწილეობდა. შს-ს ყოფილ მინისტრს გელა ხვედელიძეს თავის არეში მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება და ის საავადმყოფოშია მოთავსებული.

* * *



შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს ორი ოპერაცია ესაჭიროება. ინფორმაციას ამის შესახებ ხვედელიძის მეუღლე ავრცელებს. ხვედელიძეს, რომელსაც გუშინ დილით დაესხნენ თავს, ყბა-სახისა და თვალის არეში აქვს დაზიანებები მიყენებული.



ჯუმბერ სარდლიშვილი:

ტკივილი ლიბერალური ბოროტებისა უფრო მწარე იქნება...

4



ოთარ ხუციშვილი

ბასრი კალმით მებრძოლი მწერალი და ჟურნალისტი

8

იუმორს ყადაღა არ ადევს

საპირველაპრილო სიბრძნე სიცრუისა

31 მარტს ერთ-ერთმა ჩვენმა ოხუნჯმა მკითხველმა, ისარგებლა რა იმით, რომ მეორე დღეს 1 აპრილი თენდებოდა, რედაქციას შესთავაზა ბატონ ბიძინა ივანიშვილის ვირტუალური წერილი, ვირტუალური, **ანუ განსახორციელებლად შესაძლებელი.**

წერილი ძირითადად ამ დიდი მამულიშვილის წინასაარჩევნო დაპირებებს შეიცავს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო თავის დროზე ვერ იქნა ხორცშესხმული, უმთავრესად ისევ და ისევ ნაციონალთაგან ახალი ხელისუფლებისთვის გამუდმებული მავნებლური, დესტრუქციული, ცხადი თუ ჩასაფრებული წინააღმდეგობის მიზეზით.

რედაქციისთვის შეთავაზებულ წერილს თან ახლდა თვით იმ ოხუნჯი მკითხველის ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ:

„1 აპრილი, მოგეხსენებათ, როგორც კეთილად მოტყუების გზით გამოწვეული ღიმილის დღე („დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“), არც ქართველების მიერ არის მოგონილი და არც გუშინ, არც გუშინწინ.

ისე, ქართველებისთვის ხუმრობა, ოხუნჯობა და მოსწრებული სიტყვა ყოველთვის ბუნებრივი მოვლენა, თავისებური უებარი წამალი იყო ჭირსა თუ ლხინში. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც „სიბრძნე სიცრუისა“ და „კალმასობა“, სადაც ტყუილი და სიცრუე გამოყენებულია დიდი სიმართლის სამზეოზე გამოსატანად, ადამიანის სალაღობოდ, გასაღიმებლად, ჭკუის სასწავლად.

თუ ხმალზე უფრო მეტადა სჭრის პატარა და ბასრი ენა, ეს ჩვენი ბრძენი წინაპრის ნათქვამი ისე უნდა გავიგოთ, რომ ისტორიის ქარტეხილებში ხმალზე არანაკლებ ხუმარსიტყვამ და იუმორმა გადაგვარჩინა.

ეს ჩემი ხუმარსიტყვა ანდა იუმორი იქნებ ყველამ სწორად ვერ გაიგოს, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ქართველებს იუმორის გრძნობა ჯერ არ დაგვიკარგავს. მით უმეტეს, ნამდვილი ქართული ჯანსაღი იუმორი თვითონ ბატონ ბიძინას ბუნების ერთ-ერთი მახასიათებელია.

მე ისიც ღრმად მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომლის მსგავსი ქველმოქმედება თავისი ხალხისა და სამშობლოსთვის ჯერ არავის არ განუხორციელებია საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე, კეთილი ღიმილით შეხვდება ამ ჩვენს საპირველაპრილო შეხუმრებას და სულაც არ გაიგებს როგორც არაკეთილისმყოფელთა ერთგვარ შეგულიანებას ანდა დანამუსებას“.

ჩვენი ოხუნჯი მკითხველის ეს ბარათი, შაბათის ნომერში ბატონი ბიძინას ზემოხსენებულ წერილს იმ მოსაზრებით არ დავურთეთ, რომ საპირველაპრილო ხუმარსიტყვა არ გადაეფარა — იქვე გამხელილი ხუმრობა გამოვიდოდა.

მაგრამ აქვე უნდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ გაზეთის მკითხველთა გამოხმაურებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ძალიან ბევრმა თუ იუმორი სწორად გაიგო, კიდევ უფრო ბევრმა ეს საპირველაპრილო შეხუმრება ან საკუთარ გაწბილებად აღიქვა, ანდა ბატონ ბიძინასთვის წინასაარჩევნო დაპირებების „ნაციონალურ წამოძახებად“, რის გამოც რედაქციას „მკაცრადაც“ შეუტიეს კიდეც, რამაც, მართალი რომ ითქვას, გულწრფელად გაგვახარა, რადგანაც ამ „შეტევაში“ ბატონი ბიძინას მიმართ უამრავი ადამიანის პატივისცემა და სიყვარული დავინახეთ. თურმე როგორ მონატრებია ხალხს ბიძინა ივანიშვილის იმედიანი სიტყვა, ზუსტად ისეთი სიტყვა, როგორიც ჩვენ დავგეჭდეთ!

ამავე პატივისცემითა და სიყვარულით ვიმედოვნებთ, რომ ბატონი ბიძინა ჩვენს ამ კეთილმოსურნე პუბლიკაციას თავისი ჩვეული იუმორით შეეხმიანება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

„პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაა მთავარი და არა დებატები“

პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაა მთავარი და არა დებატები, — აცხადებს უმრავლესობის დეპუტატი ეკა ბესელია. მისი თქმით, უმრავლესობა დაიწყებს კონსულტაციებს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის ფორმატთან, შინაარსსა და თანმიმდევრობასთან დაკავშირებით: **„ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაა მთავარი და არა დებატები, თუმცა, იმის გამო, რომ ზედმეტი ინსინუაციები აგვერიდებინა თავიდან, ითქვა, რომ შეიძლება პოლიტიკური ჯგუფების ფორმატში იყოს დაშვებული ასეთი ფორმის დებატი. როგორი, რა შინაარსის და თანმიმდევრობის იქნება, ამაზე გვექნება მსჯელობა ხუთშაბათამდე. დავიწყებთ კონსულტაციებს და ჩამოვყალიბდებით ფორმატზეც, შინაარსზეც და თანმიმდევრობაზეც“,** — განაცხადა ბესელიამ.

იან კელი: ვიმედოვნებ, მთავრობა დიდი შემადგენლობით დაესწრება პრეზიდენტის გამოსვლას

პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრებიან. განცხადება აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ გააკეთა.

„რა იქნება მთავარი საკითხები პრეზიდენტის გამოსვლაში, ეს მისი და მისი ადმინისტრაციის გადასაწყვეტია. ვიმედოვნებ, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა იქნება კარგი საქართველოს წინსვლისთვის. მოუთმენლად ველი რას იტყვის პრეზიდენტი პარასკევს. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ყველას საერთო ხედვა ჰქონდეს და ვიმედოვნებ, რომ მთავრობა დიდი შემადგენლობით დაესწრება მის გამოსვლას,“ — განაცხადა იან კელიმ.

დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე „რუსთავი-2“-ის ვებ-გვერდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ

„რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ტელეკომპანიის ვებ-გვერდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ, სადაც ნათქვამია, რომ დომენი rustavi2.com დღიდან მისი რეგისტრაციისა, ყოველთვის მათ ეკუთვნოდათ და „ქველმოქმედებას წყვეტენ“.

„ჩვენ, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის დამფუძნებლები, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ვაცხადებთ, რომ დომენი rustavi2.com დღიდან მისი რეგისტრაციისა ყოველთვის ჩვენ გვეკუთვნოდა და ასეა დღესაც.

2004 წელს, როცა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ იძულებით დაგვათმობინა ჩვენი კუთვნილი 60% წილი „რუსთავი-2“-ში, სიჩქარეში არც გახსენებიათ, რომ დომენი rustavi2.com ცალკე საკუთრებას წარმოადგენდა და ასე განაგრძეს ჩვენი კუთვნილი ინტერნეტ რესურსით სარგებლობა. არც იმით დაინტერესებულან, თუ ვინ ფარავდა მთელი 13 წლის განმავლობაში რესურსით სარგებლობის თანხებს. დღეიდან ჩვენ ვწყვეტთ ქველმოქმედებას და შევეცდებით, ოდნავ მაინც დავაბალანსოთ პროპაგანდის და დეზინფორმაციის მძლავრი ნაკადი, რომელიც ჩვენთვის წართმეული ტელევიზიიდან მოედინება.

ჩვენს საიტზე დაიდება და თავს მოიყრის ბევრი ნაცნობი თუ უცნობი მასალა, რათა საზოგადოებამ სრული ინფორმაცია მიიღოს „რუსთავი-2“-ის საქმეზე“, — ნათქვამია დვალისა და აქიმიძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დავით დვალმა, რომლის მეგობრის სახელზეც იყო თავის დროზე რეგისტრირებული rustavi2.com, გათიშა ტელევიზიის ონლაინ-პლატფორმა, „რუსთავი-2“-ის ოფიციალური ვებგვერდი მთლიანად განთავსდება მისამართზე rustavi2.ge-ზე.

საქართველო „OGP“-ს თავმჯდომარეობისთვის ემზადება

იუსტიციის სამინისტროს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) სამდივნოს წარმომადგენლები ეწვივნენ. იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ბარამიძემ „OGP“-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ჯო პაუელი და სამოქალაქო საზოგადოების მიმართულების დირექტორი პოლ მაასენი მიიღო. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს, როგორც „OGP“-ის მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ პრიორიტეტებზე. როგორც ცნობილია, საქართველო „OGP“-ის 2017 წლის სექტემბრიდან უხელმძღვანელებს.

„როგორც ცნობილია, საქართველო დღეს საფრანგეთთან ერთად არის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თანათავმჯდომარე ქვეყანა, თუმცა, წამყვანი თანათავმჯდომარე ჯერჯერობით არის საფრანგეთი. სექტემბერში საფრანგეთი გადმოაბარებს ამ როლს საქართველოს და საქართველო გახდება წამყვანი თანათავმჯდომარე ქვეყანა, ანუ პირველი ქვეყანა პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რომელმაც უნდა აჩვენოს მაგალითი სხვა ქვეყნებს, თუ როგორი ხელმძღვანელობა შეუძლია გაუწიოს ღია მმართველობის იდეალების განხორციელების საქმეს. სწორედ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის დასაგეგმად, გარკვეული საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად ჩვენ დღეს ვმასპინძლობთ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ხელმძღვანელი ორგანოების წარმომადგენლებს“, — განაცხადა ალექსანდრე ბარამიძემ.

„OGP“-ის სამდივნოს წარმომადგენლები საქართველოს 3 აპრილს ეწვივნენ. მათი მთავარი მიზანია, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად განიხილონ საქართველოს, როგორც პარტნიორობის მომავალი თავმჯდომარის, პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები.

ზურაბ პატარაძემ თურქ მეზღვაურებს უმასპინძლა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძემ თურქული სამხედრო გემების, TCG Kalkan-ის და TCG Yildirim-ის ეკიპაჟის წევრებს უმასპინძლა. შეხვედრას ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი და თურქეთის გენკონსული ქ. ბათუმში იასინ თემიზქანი ესწრებოდნენ.

რეგიონის პირველმა პირმა მადლობა გადაუხადა ეკიპაჟის წევრებს ბათუმში ვიზიტისთვის. მთავრობის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის უკვე არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობები უფრო გაღრმავდება. ზურაბ პატარაძემ ისაუბრა მჭიდრო თანამშრომლობაზე სხვადასხვა სფეროში. მთავრობის თავმჯდომარემ ასევე ხაზი გაუსვა ქალაქ ბათუმის მერიასა და თურქეთის ქალაქების მერიებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

„მადლობა მინდა, გადავუხადო ეკიპაჟის წევრებს ჩვენს ქალაქში ვიზიტისთვის. დადებითი ფაქტია, რომ აქტიურად ვითარდება ორ ქვეყანას შორის სამხედრო კუთხით თანამშრომლობა. სტრუქტურებს შორის ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტია დაგეგმილი. თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროინტეგრაციას“, — აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

ბათუმის ნავსადგურს მარმარილოსა და შავ ზღვაში დაგეგმილი წვრთნების „ზღვის ვარსკვლავი 2017“-ის ფარგლებში, სარაკეტო კატარღა TCG Kalkan (P-331) და ფრეგატი TCG Yidirim (F-243) ეწვია. 4 აპრილს მსურველებს ექნებათ გემების დათვალიერების შესაძლებლობა. 5 აპრილს კი საქართველოს სანაპირო დაცვის ერთეულებთან დაგეგმილია ერთობლივი წვრთნების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ თურქული გემების წვრთნები 5 ქვეყანაში ჩატარდება.

არაბი სტუმრები თბილისის მერიაში

თბილისის მერი დავით ნარმანია არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ მინისტრს, ვიცე-პრეზიდენტს და დუბაის მმართველს, შეიხ მუჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტოუმს და საამიროების ეკონომიკის მინისტრს, სულთან ბენ საედ ალ მანსურის დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

დუბაის ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ, საამიროების ეკონომიკის მინისტრმა საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას გაუსვა ხაზი.

სულთან ბენ საედ ალ მანსურის თქმით, თბილისში ჩაფრენა დუბაიდან პირდაპირი რეისით ძალიან მოკლე დროშია შესაძლებელი და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები დიდია. დავით ნარმანიამ თავის მხრივ ყურადღება თბილისის საინვესტიციო პოტენციალსა და ტურიზმის ნაწილში, მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე გაამახვილა, ამასთან, აღნიშნა, რომ თბილისსა და დუბაის შორის მჭიდრო ეკონომიკური, საინვესტიციო და სავაჭრო კავშირები, ასევე ქალაქების ადმინისტრაციებს შორის არსებული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს, რაზეც არაბულმა მხარემ ღია მზადყოფნა გამოთქვა.

დუბაის ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმის ფარგლებში გამართულ მაღალი რანგის შეხვედრაზე დავით ნარმანიამ საამიროების მთავრობას თბილისში დაგეგმილი ორი მნიშვნელოვანი პროექტის: მრავალდონიანი ავტოპარკინგების მშენებლობის და თბილისის ზღვის განვითარების გეგმის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და იმედი გამოთქვა, რომ არაბული მხარე ისევე, როგორც აქამდე, აღნიშნული საინვესტიციო პროექტებითაც დაინტერესდება.

შეხვედრის შემდეგ, თბილისის მერი ყოველწლიური საინვესტიციო ფორუმის გახსნის ცერემონიალს დაესწრო და საამიროების პრემიერ-მინისტრთან, ასევე, მთავრობის წევრებთან ერთად 2017 წლის მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მოწყობილი ექსპოზიცია დაათვალიერა.



მოგვიანებით, დავით ნარმანიამ შეხვედრა გამართა არაბეთის გაერთიანებული საამიროების საერთაშორისო საინვესტიციო საბჭოს გენერალურ მდივანთან ჯამალ საიფ ალ ჯარვანთან, სადაც თბილისის მერმა ზემოაღნიშნული პროექტების შესახებ დეტალურად ისაუბრა. საინვესტიციო საბჭოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ გასულ წელს დუბაის ყოველწლიურ საინვესტიციო ფორუმში მონაწილეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიიღო და მისი ვიზიტის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ჯამალ საიფ ალ ჯარვანის თქმით, გაერთიანებული საამიროების როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას ძალიან მჭიდრო ურთიერთობები აქვს საქართველოსთან, ეს კავშირები ყოველწლიურად ღრმავდება და საინვესტიციო თვალსაზრისით თბილისი არაბი ინვესტორებისთვის გამორჩეულად საინტერესო ქალაქია.

„ცენტრ პოინტის“ საქმე:

„ლიბერტარიანობა“, სოციალური სამართლიანობა და პატრიოტიზმი

თბილისის საქალაქო სასამართლომ ორ დას - მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს - 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა გადაუწყვიტა. სინამდვილეში, თავდაპირველი სასჯელი 7-7 წელი იყო, თუმცა 2012 წლის ამნისტია შეეხოთ, ამიტომ ვადა შემცირდა. უახლოეს მომავალში, სასამართლო ამ გრანდიოზული, უპრეცედენტო საქმის კიდევ რამდენიმე ეპიზოდზე გამოიტანს განაჩენს: რჩეულიშვილ-უმცროსს, გურამ (გუკა) რჩეულიშვილს დაახლებით ასეთივე სანქცია ემუქრება, ოღონდ ბათუმის „მაგნოლიას“ საქმეზე.

არის კიდევ ერთი საქმე (თბილისის ქეისიდან), რომელიც ბევრად სერიოზულია, რადგან ეხება მაია რჩეულიშვილის მიერ თანხების არამიზნობრივად ხარჯვასა და მითვისებას უკვე ამნისტიის შემდეგ — 2013 წელს. ანუ, ამ ეპიზოდზე თუ სასამართლომ კვლავ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, ამნისტია მას უკვე აღარ შეეხება, ხოლო 4-წლიანი სასჯელი გაიზრდება 7-8 წლამდე. ხსენებულ ეპიზოდში ბრალდების მთავარი მოწმე, როგორც ჩანს, რჩეულიშვილის „მარჯვენა ხელი“ და „გენერალური მენეჯერი“ ქეთი ჟორდანიაა. პროკურატურამ იგი სწორედ იმიტომ არ დაუპატიმრა და გამოუშვა გირაოთი, რომ მისგან მამხილებელ ჩვენებებს ელის.

„ცენტრ-პოინტის“ ქონების კონფისკაცია არც პროკურატურას მოუთხოვია და ვერც სასამართლო მიიღებდა ამგვარ გადაწყვეტილებას, რადგან საუბარია „შპს“-ების კონგლომერატზე, რომელთა ქონებრივ ურთიერთობებს სპეციალური კანონმდებლობა არეგულირებს. და რომც მომხდარიყო ამ ქონების კონფისკაცია, იგი უნდა გაყიდულიყო აუქციონზე, ხოლო ამოგებული თანხა შესულიყო ბიუჯეტში. მერედა, დაზარალებულებს რა, ამით? არც არაფერი!

მენაშენეებს მხოლოდ ის შანსი რჩებათ, რომ განაჩენის შემდეგ სამოქალაქო სარჩელით მიმართონ იმავე საქალაქო სასამართლოს და მსჯავრდადებულთა მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოითხოვონ არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად, რასაც წლები (შესაძლოა ათწლეულებიც კი) დასჭირდება. თანაც, გაურკვეველი შედეგით.

სახელმწიფო ამ ადამიანებს ფინანსურად ვერ დაეხმარება, რაკი ვერავინ დაუშვებს ასეთ პრეცედენტს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს სახსრები კერძო ურთიერთობებისას წარმოშობილი ფინანსური პრობლემის გადასაწყვეტად და მშენებლობების დასასრულებლად! ამგვარი პრეცედენტი გამანადგურებელი შედეგის მომტანი იქნება და ბევრი გადასახადის გადამხდელი უსამართლოდაც ჩათვლის, — მათი ფული სხვისი ბინების დასრულებას მოხმარდეს.

* * *

ამდენად, ერთადერთი გამოსავალია (როგორც მას მთავრობა და პროკურატურა ხედავს), რომ რჩეულიშვილებმა მთელი თავისი ქონება სამართავად თვითონ გადასცენ ეკონომიკის სამინისტროს მიერ დანიშნულ მმართველს; შემდეგ მოხდეს ქონების აღწერა, მისი აუქციონებზე გაყიდვა, მიღებული სახსრების მშენებლობისკენ მიმართვა, დარჩენილი დავალიანებების ამოგება და 5-7 წლის განმავლობაში მშენებლობების დასრულება.

რჩეულიშვილების თანხმობის გარეშე მთავრობა ამგვარ მმართველს ვერ დანიშნავს და ქონებას სამართავად ვერ გადმოიბარებს. მას ამის არანაირი სამართლებრივი და კანონიერი საფუძველი არ გააჩნია. მაია რჩეულიშვილი კი ქონების სახელმწიფოსთვის მართვაში გადაცემას არ თანხმდება ორი მიზეზით:

1) მას აეჭვებს, რომ მთელი ქონება (მიწები) რომც გაიყიდოს აუქციონზე, ყველა მშენებლობის დასრულებას მაინც არ ეყოფა, შესაბამისად „მომჩივანი“ ისევ ეყოლება და თუნდაც ერთი მომჩივანის არსებობის შემთხვევაში, პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას ვერ შეწყვეტს. რეალურად, ერთი მომჩივანი კი არა, ასეულობით დარჩება იმ ათასობით დაზარალებულიდან, რომლებმაც ფული გადაიხადეს, „ჰაერი იყიდეს“ და ფართი ვერ მიიღეს. და რომც ჰყოფნიდეს ეს ქონება, მოგება აღარ დარჩება! ნუ გაგიკვირდებათ და ჭეშმარიტი ბიზნესმენი მუდამ, ყველა სიტუაციაში მოგებაზე ფიქრობს.

2) რჩეულიშვილები ქონების დაკარგვას განიხილავენ, როგორც სოციალური სტატუსის წართმევას. „ელიტურობა“ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და სოციალურ დეგრადაციას ასე იოლად არ შეურიგდებიან, თუნდაც წლობით მოუწიოთ ციხეში ყოფნა!

ეს ბევრ საბრალო დაზარალებულს (ვისთვისაც სოციალური სტატუსი იგივე ელიტურობა თუ „სვეკობა“ განმსაზღვრელი არასდროს ყოფილა) არ ესმის და უკვირს: რატომ არ თანხმდება „საპროცესო გარიგების“ ფარგლებში მაია რჩეულიშვილი პროკურატურის წინადადებას: მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, გადასცეს სახელმწიფოს მართვაში თავისი კომპანიის მთელი ქონება, გაიყიდოს ეს ქონება და მოხდეს დაზარალებულთა დაკმაყოფილება?!

* * *

რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ დატრიალდა საერთოდ ეს უბედურება, აქ ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა იმუშავა: პირველ რიგში, ნამდვილად ჰ ქონდა ზეგავლენა ქვეყანაში არსებულ ფორს-მაჟორს, პოლიტიკურ დაპირისპირებას 2007 წლიდან, მერე აგვისტოს ომს და ა.შ. მაგრამ ეს გარემოება ესოდენ გამანადგურებელ შედეგს მაინც არ გამოიღებდა, რომ არა თანამდევი სუბიექტური ფაქტორი: ზემოგების მიღების მიზნით, კომპანიის მესვეურები 2004-2007 წლებში მეტისმეტად დიდ რისკზე მიდიოდნენ, მეტისმეტად რისკიან მენეჯმენტს ახორციელებდნენ, მოზიდული თანხებით ყიდულობდნენ სხვა ბიზნესებს, სხვა უამრავ არაპროფილურ აქტივს, მაგალითად რესტორნებს, სასტუმროებს, ჩამოჰქონდათ ძვირად ღირებული ავეჯი, სამზარეულოები გასაყიდად, აბანდებდნენ მენაშენეთა თანხებს არა იმდენად საკუთრივ მშენებლობაში, არამედ სხვა უძრავ ქონებაში, ანუ ყიდულობდნენ მიწებს იმ გათვლით, რომ უძრავი ქონება 2-3 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაძვირდებოდა; ან ახალ მშენებლობებს დაიწყებდნენ მიწებზე და უკვე ამ ახალი პროექტებიდან შემოსული ფულით დაასრულებდნენ მშენებლობებს: კლიენტებსაც დააკმაყოფილებდნენ და თავადაც ბევრად მნიშვნელოვანი მოგება დარჩებოდათ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ შემოსულ თანხებს მხოლოდ თავდაპირველ მშენებლობებზე დახარჯავდნენ.

ბუნებრივია, საცოდავმა მენაშენეებმა, ძირითადად ქალებმა, რომლებმაც უცხოეთში პატიოსანი შრომით (ძიძაობით, დამლაგებლობით, მრეცხავობით, მომვლელობით) ორიოდე კაპიკი იშოვეს და სამშობლოში ბინაზე ოცნებობდნენ, არ იცოდნენ, რომ მათ მიერ გადახდილი თანხები შეძენილი ბინების აშენებას კი არ ხმარდებოდა, არამედ რჩეულიშვილთა ბიზნესის გაფართოებას.

* * *

სწორედ აქ იწყება პრობლემა, რომელიც მხოლოდ ამ დაზარალებულთა საფიქრალი არ არის: ე.წ. „ლიბერტარიანული იდეოლოგიის“ შესაბამისად, რომლის ადეპტები კახა ბენდუქიძე და მიშა სააკაშვილი იყვნენ, ქვეყანაში ნებისმიერი სფერო მოწესრიგებული უნდა იყოს და სახელმწიფომ არანაირი შეზღუდვა, არავითარი რეგულაციები ბიზნესს არ უნდა დაუწესოს.

მაგალითად, ელემენტარულად გონივრული შეზღუდვა (მით უმეტეს ჩვენს პირობებში) იქნებოდა, ვთქვათ, კომპანიის დავალდებულება, აუცილებლად გაეფრთხილებინა კლიენტები მათ მიერ გადახდილ თანხებს სხვა მიმართულებებით ხარჯვის თაობაზე ან საერთოდ აკრძალულიყო ერთ ობიექტზე გადახდილი თანხის მიმართვა სხვა ობიექტზე და ა.შ.

მაგრამ ბენდუქიძე-სააკაშვილ-ნოღაიდელის „სინგაპურული მოდელით“ სახელმწიფოს ამგვარი „პატერნალიზმი“ (ეს ხომ სალანძღავი სიტყვაა!) „საბაზრო ეკონომიკას დააზარალებდა“. შესაბამისად, რჩეულიშვილებმაც უდიდესი ოსტატობით ისარგებლეს სამშენებლო სფეროს სრული „დერეგულირებით“, რათა გამოუცდელ, გულუბრყვილო, საცოდავ მშრომელ, „უბრალო“ ადამიანებთან ისეთი ხელშეკრულებები გაეფორმებინათ, რომლებიც სრულად გაითვალისწინებდა თვით ბიზნესმენის რისკებს და საერთოდ არ გაითვალისწინებდა იმ საფრთხეებს, რომელშიც ეს ადამიანები იგდებდნენ თავს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას: არ არსებობს დასავლეთში ქვეყანა, სადაც სამშენებლო ბიზნესი ისეა „მიშვებული“ ყოველგვარი რეგულაციის გარეშე, როგორც საქართველოში! ასეა მხოლოდ იმავე სინგაპურში მისი ველური კაპიტალიზმითა და სისხლიანი დიქტატურით. იმიტომაც უყვარდათ ასე სინგაპური ამ ჩვენს „რეფორმატორებს“. თორემ „ევროპულ სოციალიზმს“ ხშირად აკრიტიკებდნენ თუ გახსოვთ.

* * *

სამწუხაროდ, მრავალი გაუბედურებული ადამიანისთვის ამ საქმეს უკვე შესაძლოა, აღარც არაფერი ეშველოს. საბაზრო ეკონომიკა, როგორი „რეგულირებადიც“ არ უნდა იყოს, არ არსებობს პიროვნული პასუხისმგებლობის გარეშე! სოციალიზმს და „კომპარტიას“ არავინ აღადგენს. სახელმწიფო სხვა ადამიანთა (გადასახადის გადამხდელთა, პენსიონერთა, მასწავლებელთა) ფულებს ვერ გამოყოფს სხვათა საბედისწერო შეცდომის გამოსასწორებლად, თუკი ყურადღებით არ წაიკითხეს ის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ თავის დროზე.

ყურადღებით წაიკითხე ან იურისტს წააკითხე ხელშეკრულება!!! ეს თეზისი სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარ ნებისმიერ ამერიკელს, ფრანგსა თუ ინგლისელს.

ოღონდ ეს სასტიკი გაკვეთილი უკვე დაგვიანებულია: **ამ საქმემ და მისმა თანამდევმა „ელიტურმა უსინდისობამ“, როდესაც საბერძნეთში მრეცხავობით ხელებდასიებული ქალების უბედურება და ინტერესები „ნაკლებ ღირებულია“ ვიდრე ელიტური, არისტოკრატი ქალბატონებისა, უკვე უდიდესი დარტყმა მიაყენა ამ ქვეყანაში არა მხოლოდ ლიბერალური, საბაზრო ეკონომიკის იდეას, არამედ სოციალური სამართლიანობის განცდაც შეარყია, რაც სინამდვილეში, პატრიოტული სულისკვეთების საფუძველია.**

დავით ავალიშვილი

დრო, ვისწავლოთ ვაჭრობის კულტურა

თბილისის ბაზრობების ასოციაციის საგანგებო განცხადება

ბაზრობების ასოციაცია გარემოვაჭრეებს შეღავათიანი პირობებით, 6 თვის ვადით, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით ადგილებს დაუთმობს:

„მოგახსენებთ, რომ თბილისის ბაზრობების გაერთიანებაში ჩვიდმეტი სრულუფლებიანი წევრია. ასოციაცია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ ყველა მსხვილ ბაზრობას მოიცავს.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად ბაზრობების ასოციაცია მზადყოფნას გამოთქვამს დაუყოვნებლივ შეღავათიანი პირობებით ექვსი თვის ვადით სავაჭრო ადგილი დაუთმოს ყველა იმ გარემოვაჭრეს, რომელიც რეალიზაციის ობიექტზე მუდმივად იქნება დასაქმებული, გარდა ამისა ბაზრობების დირექცია დატვირთულ ობიექტზე ე.წ. ყოფილ გარემოვაჭრეებს ყველა პირობას შეუქმნის საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიან პირობებში რეალიზაციისთვის.

ვრცელდება ინფორმაცია თითქოს ასოციაციისა და დედაქალაქის მუნიციპალიტეტის შეთანხმება მოკლე ვადაში გაუქმდება, რაზეც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ რომ არ შეესაბამება სიმართლეს.

ე.წ. გარემოვაჭრეებისთვის შეთავაზებული რეალიზაციის ობიექტები მოიცავს შემდეგ ტერიტორიას: რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია, „დინამოს“ სტადიონის მიმდებარე ტერიტორია, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორია, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორია, ისნის ბაზრობის ტერიტორია, სამგორის ბაზრობის ტერიტორია და სხვა.

თბილისის ბაზრობების ასოციაციას დაუყოვნებლივ შეუძლია სარეალიზაციოდ ფართი სამიათასამდე გარემოვაჭრეს დაუთმოს.

ყველა დაინტერესებულ პირს უმორჩილესად ვთხოვთ, რეგისტრაციისთვის მიმართოს ბაზრობის დირექციას“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ბაზრობების ასოციაცია ავრცელებს.

ტკივილი ლიბერალური ბოროტებისა უფრო მწარე იქნება,

ვიდრე ფაშიზმისა და სოციალიზმის მსხვერპლთა ერთად აღებული ტკივილი!



ჯუმბერ სარდლიშვილი

საფრანგეთის **რევოლუციის შემდეგ ანტონ დესტა დე ტრესის (1754-1836წ.) მიერ იდეოლოგია განისაზღვრა, როგორც „მეცნიერება იდეათა შესახებ“. სოციალისტი და ლიბერალი თეორეტიკოსების მოღვაწეობის შედეგად, იდეოლოგია პოლიტიკურ მოძღვრებად ჩამოყალიბდა; ლიბერალიზმი მესაკუთრეთა ინტერესებს გამოხატავდა, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმი — მუშათა ინტერესებს. მოგვიანებით გაჩნდნენ ფაშიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი და მრავალი ნაჯღვარი იდეოლოგია.**

საზოგადოებაში იდეები ცვლილებებისა და განვითარების მიზეზებია. ყოველი ახალი იდეა ნაბიჯია უკეთესობისკენ. პლატონის აზრით, იდეა მოვლენის არსებობის მიზეზი და ცნების საგანია. მისივე აზრით, არსებობენ თანდაყოლილი და შეძენილი იდეები. სულს თავის საგნად იდეათა სამყარო აქვს, საიდანაც დაბადებისას მოაქვს არსის შესახებ ცოდნა. იდეები უცვლელები, მარადიულები და სრულყოფილები არიან, მოვლენები კი (კონკრეტული საგნები) ზოგადის, ანუ მარადიულის აჩრდილები. შემეცნების თვალსაზრისით, არსება წინ უსწრებს მოვლენას. ყოველი მოვლენის არსებობის საფუძველი, სუბსტანცია და მიზეზი იდეაა.

არისტოტელე არ იზიარებს პლატონის ამ მოსაზრებას. ცნობილია მისი გამონათქვამი: „პლატონი მიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მიყვარს“. მისი აზრით, მატერიალურ საგანთა სუბსტანცია არ არის ზოგადი. საგანს მატერიალური, ფორმალური, მოქმედი და მიზნობრივი მიზეზები აქვს. მისთვის ფორმაა მარადიული და უცვლელი. მატერიალური საგნის პირველი მიზეზი არსებითია, სუბსტანცია თავად მატერიალურ საგანშია.

ფილოსოფიური აზროვნების სათავეებთან დაწყებული იდეისა და მატერიის დაპირისპირება დღემდე გრძელდება. მათთვის იდეა და მატერია შემეცნებითი დაკვირვების ობიექტებია და ფიზიკურ და მეტაფიზიკურ ჭრილში განიხილება. საინტერესოა, მოვლენას შევხედოთ, როგორც შემოქმედებით ნაყოფს და არა როგორც შემეცნების ობიექტს.

გონების ძირითადი მახასიათებელი ქმნადობაა. გამოცდილება, შემეცნება და შეგრძნებები დამხმარე საშუალებებია ძირითადის მისაღწევად. გონების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ქმნადობას აბსტრაქტულ სამყაროში იწყებს და მატერიალურ სამყაროში ამთავრებს. პლატონის „იდეათა სამყარო“ სულის სამყაროა და იდეებს, როგორც სულის საგნებს, იხსენებს ან შეიმეცნებს. ეს სამყარო გონების გარეთ არსებული, უცვლელი, მარადიული და სრულყოფილი სამყაროა. თუ დავუშვებთ, რომ ეს ასეა, გაუგებარია განვითარებული და სრულყოფილი სამყაროდან ყოველთვის რატომ შემოედინება ისეთი იდეები, რომლებიც მოვლენაში ცვლილებებს საჭიროებენ; **პირველი ავტომანქანა, პირველი ნაჯახი, პირველი ჩარხი, პირველი თვითმფრინავი რატომ არის უკანასკნელ მოდელზე ცუდი? „იდეათა სამყარო“ უცვლელი, მარადიული და სრულყოფილი რომ იყოს, იდეა, რომელიც ამ სამყაროდან მოგვეწოდება, სრულყოფილი მოვლენის საფუძველი იქნებოდა და ადამიანის გონება მას ვერ გააუმჯობესებდა.**

> პლატონის „იდეათა სამყარო“ ისეთივე პასიურია, როგორც არისტოტელეს მატერიალური სამყარო. სახლის აშენებას ათიათასი აგური თუ სჭირდება, ასიათასიც რომ ჩამოვყაროთ ზემოდან, სახლი ვერ აშენდება, ისევე, როგორც ყველაზე სრულყოფილი იდეა, თავისთავად მოვლენად ვერ იქცევა. სხვადასხვა სამყაროს გადაკვეთა გონებაში ხდება, გადაკვეთის წერტილი გონებაშია.

იდეის პასიური არსებობა იდეას მიზნობრიობას უკარგავს. „იდეათა სამყაროს“ შექმნა მხოლოდ მიზნობრივად მოტივირებულ გონებას შეუძლია. მათი წარმოქმნა-განვითარება გონების შესაძლებლობებია. გონებრივი შესაძლებლობები და მატერიის შესაძლებლობები ლოგიკურ თანხვედრაში არიან. სხვაგვარად, გონება ამოუხსნელს იდეაში ვერ გაიტანს...

იდეათა სამყარო ადამიანის გონების ერთადერთი აბსტრაქტული წარმონაქმნი არ არის; ადამიანი ოცნებობს, ანუ ქმნის წარმოსახვით რეალობას, ადამიანი ფიქრობს, ანუ ქმნის აზრობრივ სამყაროს. ადამიანის გონს შეუძლია იდეა, ოცნება და ფიქრი აბსტრაქტული სამყაროდან მოვლენაში გადაიტანოს, ანუ მატერიალურ რეალობად აქციოს.

აქვს რა ცოდნა საშენი მასალის — მატერიის შესაძლებლობებისა, გონება ისახავს მიზანს და იწყებს აბსტრაქტული საგნის წარმოსახვას. პროცესში ერთვებიან ინტუიციის, ჭვრეტისა და შემოქმედების უნარები (ნიჭი ამ უნართა განვითარების დონეა).

მოვიყვან მაგალითს: გონებამ იცის, რომ შესაბამისად დამუშავებული თიხა 950-1100 გრადუს ტემპერატურაზე აგურად გარდაიქმნება, იცის, რომ ტემპერატურის მომატება და სხვა თიხის, ან ლამის შერევით, შესაძლებელია მტკიცე და ყინვაგამძლე სამშენებლო მასალის მიღება და ისახავს მიზნად ისეთი მოსაპირკეთებელი ფილის მიღებას, რომელიც ყინვასაც გაუძლებს და დარტყმასაც. გონებაში ჩნდება წარმოსახვითი საგანი, რომელიც ფიქცია არ არის, ის სიტყვით გამოითქმის, გონებიდან გონებას გადაეცემა და საბაზრო ღირებულება აქვს, შესაძლებელია წარმოების მიზნით იდეის ყიდვაც და გაყიდვაც, შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა როგორც ფორმის, ისე შინაარსის მიხედვით და შესაძლებელია მისი განვითარებაც.

საზოგადოების განვითარების მიზეზია იდეის ცვალებადი და განვითარებადი ბუნება. ყოველ იდეას ახალი ცოდნა მოაქვს, ახალ ცოდნას კი ახალი იდეა, ეს ევოლუციური გზაა, რომლისთვისაც რევოლუცია დაბრკოლებაა.

შეიძლება, დავასკვნათ, რომ იდეა მოვლენის ცნობითი არსებაა, გონების წარმოსახვითი საგანია, გონებაშია და გონებას გადაეცემა, მოვლენას წინ უსწრებს და მისი საფუძველია, ცვალებადი და განვითარებადია.

იდეები ეთიკის საკითხებსაც მოიცავენ. სიკეთე და ბოროტება იდეის მიზნობრივ მიზეზებშია შეფუთული და მოვლენის შემეცნებისას, მათი დანახვა შესაძლებელია, თუმცა სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებული დიაპაზონი არ გვაძლევს საშუალებას, მათ შორის მკვეთრი, შავი და თეთრი ფერი გავავლოთ.

საკაცობრიო სივრცეში მთავარი ღირებულება ადამიანია. გონება მთავარი ღირებულების ირგვლივ ლოგიკურ აზრობრივ კონსტრუქციას ქმნის, სადაც სიკეთე ადამიანისკენ, ანუ მთავარი ღირებულებისკენ არის მიმართული. იმის გამო, რომ ადამიანი ორსახოვანი და ორბუნებოვანი არსებაა, ის მიდრეკილია სიკეთისკენაც და ბოროტებისკენაც. მასში ბუნებრივი მოცემულობაა მიდრეკილებათა ორპოლუსიანი სისტემა, რომელიც ადამიანის აზროვნებასა და გრძნობებს ორივე მიმართულებით მოძრაობის შესაძლებლობას აძლევს. ეს სისტემა ბუნებრივი საჩუქარია პიროვნული სახის ჩამოსაყალიბებლად და პირობას უქმნის ადამიანს, თავისი თავიდან თავისი თავი თავად შექმნას. მის ამ ორ მიდრეკილებას შორის მკვეთრი ზღვარი, ადამიანის გონებრივი შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეიძლება წაიშალოს, ლოგიკაში გაჩნდეს წანამძღვარი, რომელიც ურთიერთგამომრიცხავი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს და სიკეთეს გადაამისამართებს.

ნარკომანი თრგუნავს თავის პიროვნულ ღირსებას; მზად არის, მეუღლეს საქორწინო ბეჭედი გაუყიდოს, ოჯახიდან პურის ფული მოიპაროს, ქრთამი აიღოს, იქურდოს, შემოსავლიანი ოჯახის შვილი წამალზე შესვას, რათა მისი მეშვეობით საკუთარი თავი დაიკმაყოფილოს.

მოვიყვან ორ მაგალითს:

პირველი: ნარკომანი თრგუნავს თავის პიროვნულ ღირსებას; მზად არის, მეუღლეს საქორწინო ბეჭედი გაუყიდოს, ოჯახიდან პურის ფული მოიპაროს, ქრთამი აიღოს, იქურდოს, შემოსავლიანი ოჯახის შვილი წამალზე შესვას, რათა მისი მეშვეობით საკუთარი თავი დაიკმაყოფილოს.

დასკვნა: მარიხუანის ლეგალიზაცია ნარკოტიკზე დამოკიდებულთა რიცხვს გაზრდის, მატერიალურად დააზარალებს ოჯახებს, ხელს შეუწყობს დანაშაულის ზრდას და გამოიწვევს მრავალი ადამიანის დაავადებას.

ამ შემთხვევაში ლოგიკა სიკეთის პოლუსზეა, მისი მთავარი ღირებულება ადამიანია და მარიხუანის ლეგალიზაციის აკრძალვა ადამიანს სიკეთეს მოუტანს.

მეორე: ადამიანი თავისუფალია, მას აქვს უფლება, თავის თავს მოექცეს ისე, როგორც სურს. სახელმწიფოში დანაშაული ხდება; ნარკომანმა ფული თუ მოიპარა, ოჯახს ნივთი გაუყიდა, ვინმე გაძარცვა, ვინმე მოკლა, ის ამ დანაშაულების გამო უნდა დაისაჯოს და არა ნარკოტიკის მიღებისთვის.

დასკვნა: თუ სახელმწიფო დაუშვებს მარიხუანის ლეგალიზაციას, მის მოყვანა-რეალიზაციაზე დასაქმდება მრავალი უმუშევარი, ბიუჯეტი მიიღებს მეტ შემოსავალს, რითიც მოვაგვარებთ სოციალურ პრობლემებს, შევინახავთ ჯარს, პოლიციას და ა.შ.

მეორე მაგალითში, როგორც ხედავთ, სიკეთე გადამისამართებულია; ჯარი, პოლიცია რომ შევინახოთ, ადამიანი წამალზე უნდა შევსვათ. ლოგიკა ასეთ შემთხვევაში ბოროტების პოლუსზეა, ხოლო სიკეთე პროცესის გარეთ მყოფი ობიექტისკენ არის გადამისამართებული. გადამისამართება ბოროტების შესანიღბად ხდება.

ჩვენს წინაშეა ადამიანური აზროვნების ორი კონსტრუქცია, ორივე ლოგიკური, ორივე ადამიანური, თუმცა ერთ შემთხვევაში ადამიანისთვის სიკეთის მომტანია და მეორე შემთხვევაში — ბოროტებისა. იდეებში გატანილი სიკეთისა და ბოროტების ბუნებრივი შესაძლებლობები აბსტრაქტული საგნის მიზნობრიობაში ჩანს და მოვლენაში ავლენს თავს.

მსჯელობიდან გამომდინარე, ლოგიკას, რომლის აზრობრივ კონსტრუქციაში სიკეთე ადამიანისკენ არის მიმართული, შეიძლება, ვუწოდოთ **ღვთაებრივი ლოგიკა,** ხოლო, როდესაც სიკეთე გადამისამართებულია — **სატანური ლოგიკა.** პლატონი სიკეთის იდეას უმაღლეს იდეად მიიჩნევს, თუმცა ცალკე, თავის თავში მყოფი სიკეთე არ არსებობს, გონება სიკეთეს კი არა, წარმოსახვით საგანს ქმნის, რომელიც მოვლენაში ადამიანისთვის სიკეთის მომტანია, ანუ სიკეთე მოვლენის მიზნობრივ მიზეზებშია და შეუძლია გამოიწვიოს სიამოვნება, სიხარული და ბედნიერება. შესაბამისად, მოვლენის მიზნობრივ მიზეზებში შეიძლება დავინახოთ ბოროტებაც, რომელიც ტკივილის, ტანჯვისა და უბედურების გამომწვევია.

ვფიქრობთ, ყველა წინაპირობა გაგვაჩნია საიმისოდ, რომ იდეოლოგიის არსში ღრმად ჩავიხედოთ.

იდეოლოგიის ცნების ყველასთვის მისაღები დეფინიცია არ არსებობს და ამის მიზეზი გახლავთ, ღია იდეების მიღმა მიმალული იდეები, რომლებიც ერთმანეთიდან არ გამომდინარეობენ. მაგალითად: უკლასო საზოგადოების იდეიდან ერების შერწყმის იდეა არ გამომდინარეობს, რაც სოციალიზმის შეფუთული მიზანია. რასის უპირატესობის იდეა, თავისთავად, სხვა ერების მორჩილებაში მოქცევას ისევე არ გულისხმობს, როგორც წარმატებული ადამიანის მორჩილებაში დანარჩენი ადამიანების მოქცევას, რაც ფაშიზმის შეფუთული მიზანია. კერძო წარმოების იდეიდან თავისუფლების იდეა არ გამომდინარეობს, თავისუფლების იდეიდან არ გამომდინარეობს გარყვნილების იდეა, გარყვნილების იდეიდან არ გამომდინარეობს წარმატებულობის იდეა, რაც ლიბერალიზმის შეფუთული მიზნებია.

იდეოლოგია ურთიერთშეუთავსებადი ღია და შეფუთული იდეების ნაზავია. განსხვავებული იდეები განსხვავებულ მოვლენებს წარმოშობენ, რაც ბზარს აჩენს იდეოლოგიის ხელოვნურ მონოლითურობაში.

თუ იდეოლოგია არის პოლიტიკური ორგანიზაციის მსოფლმხედველობრივი მრწამსის თეორიული საფუძველი, ის გონების აბსტრაქტული საგნის — იდეის ძალაუფლებაც არის, რასაც ცვალებადობისა და გან-

როგორ დაჭლიოთ იდეოლოგიური აღვირახსნილობა?!

ვითარების წინააღმდეგ იყენებს. იდეა ძალაუფლებით იხანგრძლივებს სიცოცხლეს მაშინაც კი, როცა ის საზოგადოებისთვის მიუღებელია.

გონმა მოვლენა რომ განავითაროს, აუცილებელია ის აბსტრაქტულ საგნად აქციოს, ანუ იდეაში ცნებითი საგანი დაინახოს. იდეა მხოლოდ იმ მოვლენას გააჩნია, რომელიც გონებრივი შემოქმედების ნაყოფია. იდეოლოგიამ საზოგადოება რომ გარდაქმნას, უნდა დასაბუთდეს, საზოგადოება მიზნობრივი მიზეზებით არის განსაზღვრული, თუ — არა.

საზოგადოება, ისევე როგორც ერი, ისეთი მოვლენაა, რომელსაც აბსტრაქტული საგანი არა აქვს, მაშასადამე, არც გონის მიზნობრივი მიზეზით არის განსაზღვრული. საზოგადოება არც შემთხვევითი მოვლენაა, რადგან შედეგობრივი მიზეზებით არსებობს. მაგალითად: ლოდის ვარდნას ზემოდან ქვემოთ მიზნობრივი მიზეზი არ გააჩნია, ის მიზიდულობის ძალით მოძრაობს და მისი მოძრაობა ბუნებრივ კანონზომიერებებშია მოქცეული. თუ მან ცოცხალი არსება იმსხვერპლა, ადამიანს შეუძლია, დაადგინოს სიკვდილის შედეგობრივი მიზეზი, მაგრამ ვერ დაადგენს მიზნობრივ მიზეზს. სიკვდილის მიზნობრივი მიზეზი იმ მოვლენაში ვერ იქნება, რომელსაც აბსტრაქტული საგანი არ გააჩნია.

ჩვენ ვერ დავასაბუთებთ, რომ საზოგადოება მიზნობრივი მიზეზებით არსებობს. ადამიანები თავიანთი არსებობით ქმნიან საზოგადოებას, რადგან ადამიანის ბუნებრივი და გონებრივი მახასიათებლები განაპირობებენ მის არსებობას. ბუნებრივ შესაძლებლობებს ადამიანი თავისი ორსახოვნებისა და ორბუნებოვნების გამო, სიკეთისკენ ან ბოროტებისკენ მიმართავს. ამ მიდრეკილებათა შორის თავად ქმნის თავის თავს, ამაში გამოიხატება მისი, როგორც თავისუფალი არსების განსაკუთრებულობა და ამაღლებულობა.

თეორეტიკოსი, რომელიც საზოგადოებრივი მოდელის შექმნას დაისახავს მიზნად, სიყალბეს შექმნის. ადამიანი ამ სიყალბეს ბუნებრივად თუ ვერ მოერგო, იდეა, შერწყმული ძალაუფლებასთან, ანუ იდეოლოგიად ქცეული იდეა ძალადობით ეცდება ადამიანი მოარგოს მოდელს, ახალი ადამიანის გამოყვანის მცდელობების მიზეზი სწორედ ეს გახლავთ.

არაფრისმთქმელია განმარტებები: „იდეოლოგია პოლიტიკური რწმენის სისტემა“, მოქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკურ იდეათა სისტემა“ — „პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით ოფიციალურად სანქცირებული იდეათა სისტემაა“, ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინაა, რომელიც აცხადებს მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე“ და ა.შ.

დავსვათ კითხვა: კაცობრიობის მთავარ ღირებულებას — ადამიანს სჭირდება ასეთი სისტემები? იდეოლოგია აუცილებელი მოვლენაა, თუ — ადამიანზე ზემოქმედების დამთრგუნველი საშუალება?

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, დავაზუსტოთ: ერი, საზოგადოება და სახელმწიფო ერთი მონოლითური მთლიანობაა თუ განსხვავებულ სიდიდეებთან გვაქვს საქმე; ერის ელემენტია ინდივიდი, რომლის უნიკალურმა ბუნებამ განაპირობა ეროვნული ერთობის არსებობა. საზოგადოების ელემენტია პიროვნება, რომლის ზოგადადამიანურმა მახასიათებელმა განაპირობა საზოგადოების არსებობა თავისი თვითმყოფადი კულტურით (კულტურა ბუნებრივად თვითმყოფადია იმიტომ, რომ პიროვნება თავის თავში აერთიანებს ერის ელემენტის ბუნებრივ უნიკალურობას), სახელმწიფოს ელემენტი გახლავთ მოქალაქე, რომელიც პიროვნების სამართლებრივი ფორმაა. ის არ წარმოადგენს ბუნებრივ მოცემულობათა ერთობლიობას, მისთვის უცხოა ეროვნულობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა. მისი არსებობა სამართლებრივი სივრცით არის განპირობებული და ადამიანის კულტურული მოღვაწეობის შედეგია. **ადამიანს სახელმწიფო რომ არ შეექმნა, არც მოქალაქე იარსებებდა. როგორც სპექტაკლი ითხოვს მსახიობის არსებობას, ჩარხი ითხოვს მუშის არსებობას, ასევე სახელმწიფო ითხოვს მოქალაქის არსებობას.**

ბაბრაძელება იქნება

მარინე თექთუმანიძე:

ჩემი ქვეყნის მედია სიმართლის, სინათლისა და პატიოსნების „ფერი“ უნდა იყოს!

ახლახან ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში რიგგარეშე ყრილობა ჩატარდა. ყრილობის გადაწყვეტილებით, მომდევნო ხუთი წლის მანძილზე, კავშირს უხელმძღვანელებს ორი თავმჯდომარე (თანათავმჯდომარეები) — მარინე თექთუმანიძე და მარინე გიგინეიშვილი. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ჟურნალისტთა პირველი გაერთიანებაა საქართველოში და მის ავტორიტეტს თაობები ქმნიდნენ. დღეს კავშირში ბევრი პრობლემა და ორგანიზაციული საკითხია მოსაგვარებელი, დასალაგებელია ურთიერთობები საერთაშორისო ჟურნალისტურ ორგანიზაციებთან, ტელევიზიებთან, ახალგაზრდა ჟურნალისტებთან... ამ თემებზე სასაუბროდ ქალბატონ მარინე თექთუმანიძეს შევხვდით.

— ქალბატონო მარინე, რას გვეტყვით რიგგარეშე ყრილობის შესახებ?

— თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ რიგგარეშე ყრილობის ჩატარება ყოფილი თავმჯდომარის, ჰამლეტ გეგიას უეცარმა გარდაცვალებამ გამოიწვია. ჩვენი წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ყრილობა უნდა ჩატარებულიყო ორი თვის ვადაში. მე, როგორც კავშირის პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრს, თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შესრულება დამევალა. გამგეობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ყრილობის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც ორი თვის დაუღალავი, 24-საათიან რეჟიმში მუშაობის შემდეგ შეძლო, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე ყველაზე მრავალრიცხოვანი, წარმომადგენლობითი ყრილობა გაემართა. ყრილობაზე თბილისიდან და რეგიონებიდან 151 დელეგატი იყო მოწვეული. ახალგაზრდების გარდა ყრილობას ესწრებოდნენ ვეტერანი ჟურნალისტები, ადამიანები, რომლებიც იდგნენ კავშირის შექმნის სათავეებთან, რომელთა შრომით, პროფესიონალიზმითა და ენთუზიაზმით ჟურნალისტთა ეს დიდი გაერთიანება შეიქმნა.

— ყრილობის გადაწყვეტილებით, დღეს ჟურნალისტთა კავშირს ორი თავმჯდომარე (თანათავმჯდომარეები) ჰყავს. რას ეფუძნება ასეთი გადაწყვეტილება?

— ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან, ჟურნალისტთა კავშირის როლიდან და იმ ამოცანებიდან გამომდინარე, რომელიც დღეს ჟურნალისტების და, ზოგადად, მედიის წინაშე დგას, კოლეგებმა ჩათვალეს, რომ ორი თანასწორუფლებიანი თავმჯდომარე წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი ფუნქციებით, ამ გამოწვევების ეფექტურად გამკლავებას უკეთ შეძლებდა. კავშირი წლების მანძილზე იყო ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. პირველ რიგში ვიზრუნებთ, რომ აღვდგეთ ამ ფედერაციაში. ასევე გავწევრიანდებით რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ჩვენ საქმის კეთების სურვილი გვაქვს და ძალ-ღონეს არ დავზოგავთ, რომ ჩვენი მიზნები განვახორციელოთ. გვინდა, შევქმნათ ქართული ჟურნალისტიკის მატიანე, რომლის მომზადებაში არაერთი ჩვენი კოლეგა ჩაერთვება. კავშირში უნდა გაწევრიანდნენ ახალგაზრდა ჟურნალისტები, მათი ენთუზიაზმი, ენერგია გამოცდილ, ღვაწლმოსილ ჟურნალისტებთან ერთად გააძლიერებს, გაამრავალფეროვნებს ჩვენს ორგანიზაციას.

— თქვენი აზრით, რა როლი ეკისრება ჟურნალისტთა შემოქმედებით გაერთიანებას მედიის განვითარებაში?

— ჟურნალისტთა შემოქმედებით გაერთიანებას, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მედიის განვითარებაში. ჩვენი გაერთიანების წევრები არიან მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები, ადამიანები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში, სახელმძღვანელოების ავტორები, რომელთა წიგნებზე გაიზარდნენ და კვლავაც გაიზრდებიან თაობები, პრაქტიკოსი ჟურნალისტები, პირველი დამოუკიდებელი გაზეთების დამფუძნებლები და რედაქტორები, ის ადამიანები, რომელთა ცოდნასა და გამოცდილებას კიდევ უფრო გამოვიყენებთ. ამასთანავე, ჟურნალისტთა კავშირს აქვს სოლიდური ბაზა, სადაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სტუდენტებს შეეძლებათ, გაიარონ სასწავლო პრაქტიკა, გვინდა, შევქმნათ ჟურნალისტური დაოსტატების სკოლა. ჩვენთან ჩატარდება ჟურნალისტთა სემინარები, კონფერენციები, ტრენინგები, სხვა არაერთი ღონისძიება, სადაც ჟურნალისტთა ფართო სპექტრი იქნება წარმოდგენილი, მედიის მთელი მრავალფეროვნებით.

— მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად საქართველოში მედიის განვითარების ეროვნული ფონდის შექმნა?

— ასეთი ფონდის შექმნა მედიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ოღონდ ამ ფონდის არსებობა მარტო მედიას არ უნდა აინტერესებდეს. ასეთი ფონდის შექმნაზე სამთავრობო სტრუქტურებიც უნდა ფიქრობდნენ. ეს ფონდი უნდა ზრუნავდეს ფორსმაჟორულ მდგომარეობაში აღმოჩენილ ჟურნალისტებზე, პროფესიულ სოლიდარობაზე, საბავშვო პრესის აღორძინებაზე და ა. შ. მე, როგორც წარსულში საბავშვო გაზეთის რედაქტორმა, კარგად ვიცი, რა სავალალო მდგომარეობაშია, ბედის ანაბარადაა მიტოვებული ერთ დროს ასე პოპულარული საბავშვო გამოცემები.

— როგორ გესახებათ ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანამშრომლობა საქართველოს სამთავრობო წრეებთან?

— რა თქმა უნდა, ასეთი თანამშრომლობა აუცილებელია. საქართველოში მიმდინარე პროცესებიდან, ჟურნალისტების პროფესიული ინტერესებიდან და სამოქალაქო დემოკრატიული ღია საზოგადოების მშენებლობის აუცილებლობიდან გამომდინარე, პარლამენტსა და მთავრობას შევთავაზებთ საკანონმდებლო ინიციატივებს და რეკომენდაციებს, რომელთა კანონად ქცევის შემთხვევაში მონაწილეობას მივიღებთ მის განხორციელებაში. აუცილებელია ჟურნალისტთა დაზღვევა, მათი დაცვის მექანიზმების შემუშავება, რომელსაც, ბუნებრივია, მარტო ჟურნალისტთა კავშირი ვერ გადაწყვეტს. ასევე, ქართული მედიის მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, მთავრობასთან ერთად ბეჭდური და ელექტრონული მედიის გადარჩენისა და განვითარების პროექტებს შევიმუშავებთ.

— მედია — როგორც საზოგადოებრივი აზრის განვითარების ბარომეტრი, როგორ წარმოგიდგენიათ?

— მედიას მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვს და საზოგადოებრივი აზრის შექმნის, ჩამოყალიბების და განმტკიცების სათავეებთან დგას. ამიტომაც მნიშვნელოვანია მოუსყიდავი, პატიოსანი მედიის არსებობა, რომელიც არ იქნება მხარე და ადამიანების გრძნობებით მანიპულირებას კი არ მოჰყვება, არამედ მათ რეალურ, შეულამაზებელ და მიუკერძოებელ ინფორმაციას შესთავაზებს.

— ქალბატონო მარინე, ყვითელის გარდა, ზოგადად, რა ფერისაა ქართული მედია?

— მე არ ვიცი, ყვითელის გარდა რა ფერისაა იგი, მაგრამ ვიცი, რა ფერის მინდა იყოს ჩემი ქვეყნის მედია და ეს ფერი არის სიმართლის, სინათლისა და პატიოსნების ფერი!..

ესაუბრა

სოფიკო ერისთავი.

SPUTNIK

დავით ნარმანიამ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში გაბუნია-ლომიძეს მოუგო

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭომ თბილისის მერის განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „კურიერ-P.S.-ის“ წამყვანმა გიორგი გაბუნიამ დაარღვია ქარტიის პირველი (სიზუსტე) და მეშვიდე (დისკრიმინაცია) პრინციპი, ხოლო სადავო სიუჟეტის ავტორმა მაია ლომიძემ მესამე (ფაქტის მიჩქმალვა) პრინციპი.

თბილისის მერი დავით ნარმანია, სადავოდ ხდიდა 2017 წლის 12 თებერვალს გადაცემა P.S.-ის სიუჟეტს, სადაც საუბარი იყო თბილისში საზოგადოებრივი საპირფარეშოების თემაზე. თბილისის მერი მიიჩნევდა, რომ მასალა არაზუსტ ფაქტებს შეიცავდა და გარდა პირველი, მეშვიდე და მესამე პრინციპისა, დარღვეული იყო მე-11 (ფაქტის განზრახ დამახინჯება) პრინციპიც.

ზავნული გაზის გაძვირებისა

ახლო მომავალში მოსახლეობისთვის ბუნებრივი გაზის ტარიფი რომ მოიმატებს, ამას, რომ იტყვიან, „წყალი არ გაუვა“. იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანული „სოკარის“, „ყაზტრანსგაზისა“ და გაზის ტრანსპორტირების კომპანიების მოთხოვნა, რომელიც ამჟამად არსებული ტარიფის გაზრდას ეხება, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას (სემეკს) ჯერ აღარ განუხილავს, ეს საკითხი, არსებითად, უკვე გადაწყვეტილია, რის დამალვას აღარც არავინ ცდილობს.

ისიც ფაქტია, რომ ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი აგერ უკვე ათეულ წელზე მეტია, არ გადახედილა. მართალია, მისი მომატების განცხადებით გაზკომპანიები სემეკს, ფაქტობრივად, ყოველ წელს მიმართავდნენ, მათი ეს მოთხოვნა მაინც არ კმაყოფილდებოდა. ისე კი, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მოხმარებული ბუნებრივი გაზის ტარიფის მომატება მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს შეეხება, რადგან დღეს-დღეობით ბაზარი, ფაქტობრივად, ისედაც ორადაა დაყოფილი: ერთ ნაწილს, ასე ვთქვათ, „ძველი მომხმარებლები“ შეადგენენ, ანუ ისინი, ვინც მას 2008 წლამდე იღებდნენ, და „ახალი მომხმარებლები“, ესე იგი ისინი, ვინც ბუნებრივ გაზს 2008 წლის შემდეგ მოიხმარენ. პირველთათვის სამომხმარებლო ტარიფის ზედა ზღვარს სემეკი ადგენს, მეორეთათვის კი უკვე უშუალოდ გაზის კომპანიები და ის, ცხადია, სემეკის დადგენილზე მაღალია. თქმა არ უნდა, რომ ასეთი ვითარება აშკარად უსამართლოა და დისკრიმინაციული. სამაგიეროდ, ახლა ყველანი ერთად უფრო მაღალი ტარიფით გადავიხდით მოხმარებული გაზის საფასურს. ბუნებრივია კითხვა: რატომაა, რომ ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი მაინცდამაინც ახლა მატულობს, როცა ლარს საბოლოოდ გამყარება არა და არ ეღირსა, სურსათის, ნავთოპროდუქტების, მომსახურებისა და საყოფაცხოვრებო საქონლის ფასები კი, ფაქტობრივად, თვიდან თვემდე იზრდება? ამაზე ენერგეტიკის სფეროს ყველა დონის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების დადებით, საქართველოს მიერ ნაკისრ სხვადასხვა ვალდებულებასთან ერთად, ენერგოშემცველთა სამომხმარებლო ბაზარიც ევროპულთან სინქრონიზაციასა და ჰარმონიზაციას საჭიროებს. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მომსახურების პირობებში ყველა აბონენტი, მისი მიღების ხანდაზმულობის მიუხედავად, გადასახადს ერთიანი ტარიფით უნდა იხდიდეს.

რაც შეეხება ბუნებრივი გაზის ახალ ტარიფს, რომელსაც ზემონახსენები სამი გაზის მომწოდებელი კომპანია მოითხოვს, მის ზედა ზღვარზე კონკრეტული ლაპარაკისგან ჯერჯერობით ყველანი თავს იკავებენ, თან ხაზს უსვამენ, რომ ნებისმიერი ენერგოშემცველის, ამ შემთხვევაში ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი, საკმაოდ მრავალკომპონენტიანი სისტემაა. ამიტომ ვიდრე მარეგულირებელი კომისია ყველა ასპექტს დეტალურად არ განიხილავს, კონკრეტულად რაიმეს თქმა შეუძლებელია. საბოლოო გადაწყვეტილება კი ივლისში იქნება მიღებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასევე **იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობპროდუქტებზე აქციზური გადასახადის მომატების პირობებში, გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა ინფლაციის ისედაც აჩქარებულ ტემპს იმდენად დააჩქარებს, რომ ზაფხულის მიწურულს — შემოდგომაზე მან, შესაძლოა, ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწიოს.**

ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ, წლევანდლიდან მოყოლებული, სემეკი გაზის სამომხმარებლო ტარიფს ყოველწლიურად დაადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი გაზის ბაზარზე ენერგოშემცველის მთელი მოცულობა იმპორტირებულია, ენერგეტიკის მინისტრის **კახი კალაძის** განცხადებით, მართალია, სამომხმარებლო ტარიფის მატება სავსებით რეალურია, თუმცა კი მას შემდეგ, რაც სემეკი ამის თაობაზე გადაწყეტილებას მიიღებს, კონკრეტულ პირთა სუბსიდირების საკითხიც წამოიჭრება და ეს ევროკავშირის ქვეყნებშიც მიღებული პრაქტიკაა.

— იმ შემთხვევაში, თუკი გაზის სამომხმარებლო ტარიფი გაიზრდება, დღის წესრიგში მიზნობრივი სუბსიდირების საკითხი დადგება ისევე, როგორც ეს ელექტროენერგიის მოხმარების სეგმენტში ხდება, — აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

ოთარ ტურაბელიძე

ყოველწლიურად სტიქია 150-200 მილიონ ლარს გვარეცხავს!

სტიქიისგან მიყენებულ ზარალს სხვა ქვეყნებში სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ, საქართველოში - სახელმწიფო ბიუჯეტი...

2016 წელს მსოფლიოში განვითარებული სტიქიური მოვლენების ლიკვიდაციაზე სადაზღვევო კომპანიებმა 42%-ით მეტი თანხა დახარჯეს, ვიდრე 2015 წელს, — finmarket.ru-ს ცნობით, ამის შესახებ აღნიშნულია შვეიცარიულ სადაზღვევო კომპანია Swiss Re-ს კვლევაში. ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, 2016 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 175 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით გაორმაგებულია.

როგორც კომპანიის კვლევაშია აღნიშნული, ეს ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

„2016 წელს არაერთი ბუნებრივი კატასტროფა მოხდა, მათ შორის მიწისძვრები იაპონიაში, ეკვადორში, ტანზანიაში, იტალიაში და ახალ ზელანდიაში. აშშ-ში, ევროპაში და აზიაში რამდენჯერმე მოხდა გლობალური წყალდიდობა. აშშ-ში აღრიცხულია სტიქიური მოვლენების რეკორდული რაოდენობა“, — ნათქვამი მოხსენებაში.

ამასთან, ორგანიზაციის კვლევაში ნათქვამია, რომ 2016 წელს სადაზღვევო კომპანიებმა 54 მილიარდი დოლარის ზარალის კომპენსაცია გასწიეს, რაც წინა წელთან შედარებით 42%-ით მეტია. კატასტროფების დროს დაიღუპა 11 000 ადამიანი. კომპანიის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს მსოფლიოში აღირიცხა 327 მსხვილი კატასტროფა, მათ შორის 191 იყო ბუნებრივი, 136 — ტექნოგენური.

ყველაზე მეტად დაზარლდა აზია (128 სტიქიური მოვლენა). ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე კატასტროფა მოხდა იაპონიაში — მიწისძვრა კუნძულ კიუსიუზე 2016 წლის აპრილში, რომელმაც ქვეყანა 30 მილიარდი დოლარით აზარალა.

სტიქიური მოვლენებისგან მიყენებული ზარალი საკმაოდ დიდია საქართველოშიც. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ზარალის ოდენობა წელიწადში დაახლოებით 150-200 მილიონ ლარს შეადგენს. ამაში შედის როგორც დაზიანებული ინფრასტრუქტურა, ასევე განადგურებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

რაც შეეხება ზარალის ანაზღაურებას, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში სტიქიური მოვლენებისას ქონების დაზღვევის ვალდებულება არ არსებობს. შესაბამისად, ზუსტი ციფრის დასახელება, თუ რეალურად რა ზარალი მიადგა სტიქიისგან ქვეყანას და მოქალაქეებს ერთად, და რამდენი ლარი დაიხარჯა ზარალის ლიკვიდაციაზე, რთულია. ერთადერთი დაზუსტებული მონაცემი, რაც არსებობს, ეს არის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხა.

როგორც „კომერსანტს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განუცხადეს, 2016 წელს სტიქიური მოვლენებისგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაზე სამინისტრომ 37,806 მილიონი ლარი გამოყო, რაც 48,7%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წელს სტიქიის ლიკვიდაციაზე ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 73,732 მილიონი ლარი დახარჯა.

სტიქიური მოვლენების ლიკვიდაციაზე თანხა პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდანაც ირიცხება.

„კომერსანტი“

ეკა ბესელია: მართვის მოწმობებზე ქულების ჩამოკლება მხოლოდ განსაკუთრებული საფრთხის დარღვევებზე უნდა მოხდეს

ამის შესახებ იურიდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განაცხადა. მისი თქმით, „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის თავდაპირველ ვარიანტში ცვლილებების შეტანა იგეგმება:

„ჩვენ მზად ვართ, ინიციატორთან ერთად მივაღწიოთ შეთანხმებას, რომ ცალკეული საგზაო დარღვევების მიმართ იყოს პრინციპული და მკაცრი მიდგომა. მაგალითად, როგორიც არის არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ მანქანის მართვა. ეს უფრო მკაცრად იქნება დასჯადი, მაგრამ ქულათა სისტემაში არ შევა ისეთი დარღვევა, როგორიც არის სადგომზე მანქანის არასწორად გაჩერება. ეს დაისჯება ჯარიმით, მაგრამ არა ქულების ჩამოკლებით. გარდა ამისა, შეთანხმება იქნება იმაზე, რომ ჩამორთმეული მართვის მოწმობის აღდგენა შესაძლებელი იქნება ახალი პროცედურით, რაც დაკავშირებული იქნება გამარტივებულ პროცესთან — მათ შორის, იქნება გამოცდის ჩაბარება გარკვეული დათქმებით. წუხილები, რაც პირველი მოსმენით განხილვისას გამოითქვა, გათვალისწინებული იქნება“, — განმარტა ბესელიამ.

გარემოს დანაგვიანებისთვის 50-დან 1000 ლარამდე ჯარიმა

ორშაბათიდან დედაქალაქში „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები გამოჩნდნენ, რომლებიც მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ.

პირველი ორი კვირის განმავლობაში, ინსპექტორების გამოჩენას მხოლოდ ინფორმაციული სახე ექნება, ისინი მოქალაქეებს მომავალ სანქციებთან დაკავშირებით გააფრთხილებენ. **თბილისში გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმები 50 ლარიდან 1000 ლარამდე იქნება.**

კერძოდ: 2 კგ-მდე ნარჩენით გარემოს დანაგვიანება — 80 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან — 100 ლარით;

2 კგ-ზე მეტი ნარჩენით გარემოს დანაგვიანება — 150 ლარით, იგივე ქმედება ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან — 500 ლარით;

ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება- 50 ლარით (პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მეპატრონეს, თუ იგი დაუყონებლივ და სრულად მოასუფთავებს დაბინძურებულ ტერიტორიას);

ხუთ ერთეულამდე საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) - 150 ლარით;

ხუთი ერთეული ან ხუთ ერთეულზე მეტი საბურავით გარემოს დანაგვიანება (ველოსიპედის საბურავის გარდა) — 500 ლარით;

სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ:

ფიზიკური პირი — 400 ლარით;

იურიდიული პირი — 1000 ლარით.

„თბილსერვის ჯგუფის“ ინფორმაციით, დედაქალაქის მასშტაბით 20 ქვეითი ინსპექტორი იმუშავებს.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

და მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდნენ ჩვენს არმიაში ჩვენი საჯარიმო ნაწილის მეომრები და გადამღობი რაზმები. სწორედ ასე: ჯერ აქვთ გერმანელებს, შემდეგ ჩვენ. აი ასე, 1941-1942 წლის ზამთარში გერმანელების კატასტროფის შთაბეჭდილებით სტალინმა გადაწყვიტა გაენადგურებინა ისინი საგაზაფხულო შეტევით. მაგრამ განადგურების მაგივრად გერმანიის არმია სტალინგრადის კედლებთან და კავკასიაში აღმოჩნდა. გერმანელები იდგნენ ლამის ორ ნაბიჯზე საბოლოო მიზნებამდე, რომლებიც აღწერილია უკვე პრაქტიკულად მივიწყებულ გეგმა „ბარბაროსში“.

ახლა კი დროა, შევხედოთ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა სტალინი საბრძოლო მოქმედებებს.

1942 წლის 23 ივლისი. ი.ბ. სტალინის სტალინგრადის ფრონტის სარდალთან პირდაპირი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი.

სტალინი. მოვითხოვ, რომ თავდაცვის ზღუდე დონის დასავლეთით კლეტსკაიადან როჟკოვსკის გავლით ქვემო კალინოვკამდე შენარჩუნებული იქნეს ჩვენს ხელთ უცილობლად. მტერი, რომელიც შემოიჭრა ამ ზღვარზე გვარდიის დივიზიის მოქმედების რაიონში, განადგურდეს რაც უნდა იყოს. ამისთვის თქვენ გაქვთ ძალები, და ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. კატეგორიულად გიკრძალავთ უკან დახევას აღნიშნული თავდაცვის ზღუდიდან. მორჩა. ყველაფერი გასაგებია, არის შენიშვნები?“

გორდოვი. ყველაფერი გასაგებია. ვიწყებთ თქვენი მითითებების შესრულებას.

სტალინი. შეასრულეთ, ვთხოვ ამხანაგ გორდოვს ყოველი სამი-ოთხი საათის შემდეგ გამოაგზავნოს გენერალურ შტაბში მოკლე ცნობები ტელეგრაფით ან რადიოთი საქმის ვითარების შესახებ.

გორდოვი. ახლახან მივიღეთ შეტყობინება კოლპაჩისგან, რომ მტრის ტანკები 50 ერთეულამდე შემოიჭრნენ კალმიკოვის, მაინოლინის მიმართულებით და კომპანიის საბჭოთა მეურნეობის გავლით მიდიან პირველი მაისის საბჭოთა მეურნეობის მიმართულებით. მდგომარეობას დავაზუსტებთ, მოგახსენებთ შემოჭრილი მტრის ლიკვიდაციის შესახებ. მორჩა.

სტალინი. როგორ, თქვენ განა არ გყავთ ტანკები მარჯვენა ფლანგზე? რას აკეთებს ჩვენი ავიაცია? სამარცხვინოა, უკან დაიხიო არამზადა გერმანელების 50 ტანკის წინაშე, როდესაც ფრონტზე დაახლოებით 900 ტანკი გყავს. მორჩა.

გორდოვი. ყველაფერი გასაგებია, მივიღებთ ზომებს მტრის შემოჭრილი ტანკების ჯგუფის ლიკვიდაციისათვის.

გორდოვი. კარგად ბრძანდებოდეთ, გისურვებთ წარმატებებს.

გორდოვი. კარგად ბრძანდებოდეთ, გმადლობთ, ნახვამდის. გორდოვი, ხრუშჩოვი, ბოდინი. ნახვამდის.

სტალინი. იქ არის ამხანაგი გორდოვი?

სტალინგრადი. არა, ის უკვე წავიდა.

სტალინი. გადაეცით გორდოვს შემდეგი: იქონიეთ მხედველობაში, რომ კოლპაკჩი მეტად ნერვიული და მგრძნობიარე ადამიანია, კარგი იქნებოდა გაგეგზავნათ კოლპაკჩისთან ვინმე უფრო მაგარი სულისკვეთების მხარდაჭერისათვის, ხოლო თუ გორდოვი თავად ჩავა მასთან, უკეთესი იქნებოდა. აუცილებლად გადაეცით ეს ჩანაწერი გორდოვს.

(გორდოვი) გორდოვია აპარატთან. დიახ, ჩანაწერი უკვე მთლიანად მივიღეთ, ყველაფერი გასაგებია.

სტალინი ლამის ეხვეწება თავის გენერლებს, არ დაიხიონ უკან და სთხოვს დაეხმარონ მეტად შთაბეჭდილებიან გენერალ კოლპაკჩის (საინტერესოა, რა მოხდა ისეთ მგრძნობიარე გენერალთან დაკავშირებით, რომელსაც აწუხებდა პანიკა? თანაც ისე, რომ ამის შესახებ გაიგო თავად სტალინმა? დახვრიტეს, როგორც მხდალი და ხალხის მტერი? არა. თუმცა გერმანელებმა მაინც შეძლეს სტალინგრადთან მისი არმიის დაცვის გარღვევა, რის გამოც კოლპაკჩი მოიხსნა თანამდებობიდან და გაგზავნეს ფრონტიდან. რის შემდეგაც იბრძოდა მთელი ომის განმავლობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით ვლადიმერ იაკობის ძე კოლპაკჩის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა). ამ „მოლაპარაკებებიდან“ ექვსი დღის შემდეგ უშვებს სახელგანთქმულ 227-ე ბრძანებას.

გორდოვთან ზემოაღნიშნული საუბრის მეორე დღეს, 1942 წლის 24 ივლისს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი უშვებს დირექტივას: „ბრძოლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯარების მართვა ხორციელდება მანამ, სანამ არსებობს სამავთულო კავშირი, მაგრამ საკმარისია მოიშალოს სამავთულო კავშირები, რომ უმალვე ქრება მართვაც. რადიოსაშუალებებით კავშირს კვლავ უგულოდ, იძულებით იყენებენ, რადიოსადგურებისთვის არ ზრუნავენ, აქვთ ისინი შორს სამეთაურო პუნქტებიდან, ზოგჯერ კი შტაბების მეორე ეშელონებთან. არასაკმარისი ყურადღება ექცევა რადისტების მომზადებას, ჩვენი რადისტები უმეტეს შემთხვევაში მუშაობენ ნელა და სუსტად იციან რადიოკავშირის ტექნიკა“.

შემდეგ კი რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი ბრძანებს... ისარგებლონ რადიოკავშირის მოფიქრებულად: სტალინი ასწავლის სამხედროებს, რომ საჭიროა გამოიყენონ რადიოსადგურები, რომლებიც მათ აქვთ, მაგრამ უქმად არიან. და, იცნობს რა თავის გენერლებსა და პოლკოვნიკებს, ასეთ ელემენტარულ მოთხოვნებს აფორმებს ბრძანებით! ბანაკის დირექტივით, რომელიც აუცილებელია შესასრულებლად! რას გვეუბნება ეს ყოველივე? იმას, რომ 1942 წლის ზაფხულს ჩვენი არმია ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებამდე. და რადიოკავშირით სარგებლობა მასში გახდება ნორმა სტალინის არა ნების წინააღმდეგ, არამედ სურვილის წყალობით.

აი, ჩვენი არმიის დაბალი საბრძოლო მომზადების კიდევ ერთი აღმაშფოთებელი მაგალითი. და კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ სტალინის არა ნების წინააღმდეგ, არამედ წყალობით ამ ნაკლოვანებებს ითვალისწინებდნენ და პრობლემა წყდებოდა მაქსიმალურად მოკლე დროში. 1942 წლის სექტემბრის დასაწყისში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელმა, არმიის გენერალმა ჟუკოვმა, სკპ (ბ)-ის მდივანმა მალენკოვმა და წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ა.ა.ნოვიკოვმა უმაღლესი მთავარსარდლის ი.ბ. სტალინის სახელზე შეიტანეს მოხსენებითი ბარათი:

> უკანასკნელი ექვსი-შვიდი დღის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდით ჩვენი გამანადგურებელი ავიაციის მოქმედებებს. მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე მივედით იმ რწმენამდე, რომ ჩვენი გამანადგურებელი ავიაცია მუშაობს ძალიან ცუდად. ჩვენი გამნადგურებლები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი რამდენჯერმე მეტია, ვიდრე მოწინააღმდეგის გამანადგურებლები, ამ უკანასკნელებთან ბრძოლაში არ ერთვებიან. იმ შემთხვევებში, როდესაც ჩვენი გამანადგურებლები ასრულებენ მოიერიშე თვითმფრინავების საფარველის ამოცანას, ისინი ასევე არ ერთვებიან მოწინააღმდეგის გამანადგურებლებთან ბრძოლაში და ეს უკანასკნელნი დაუსჯელად უტევენ მოიერიშე თვითმფრინავებს, ყრიან მათ ძირს, ანადგურებენ, ჩვენი გამანადგურებლები კი დაფრინავენ გვერდით, ხშირად კი უბრალოდ ბრუნდებიან თავიანთ აეროდრომზე. ის, რასაც ჩვენ თქვენ გახსენებთ, სამწუხაროდ, ცალკეული ფაქტები როდია. გამანადგურებელთა ასეთ სამარცხვინო მოქმედებებს ჩვენი ჯარები ხედავენ ყოველდღე, ჩვენ პირადად ვნახეთ ათობით ასეთი ფაქტი. გამანადგურებლების კარგი ქცევის არცერთი შემთხვევა არ გვინახავს...

სტალინი რეაგირებას ახდენს დაუყოვნებლივ. 1942 წლის 9 სექტემბერს ჩნდება ბრძანება „გამანადგურებლებისათვის საბრძოლო გაფრენის ცნების დადგენის შესახებ“ (№0685), რომელშიც უმაღლეს მთავარსარდალს უწევს... ასწავლოს მფრინავ-გამანადგურებლებს — არ მიატოვონ მოიერიშე თვითმფრინავები და ბომბდამშენები! და განმარტოს, რომ საჭიროა გერმანულ თვითმფრინავებთან ბრძოლა! მძიმეა ამის კითხვა, რთულია ამის წარმოდგენა, მაგრამ ომის მეორე წელს საჭირო ხდება ელემენტარული ამბების განმარტება თავდაცვის სახალხო კომისრის ი.ბ. სტალინის ბრძანების ფორმით!

> 1. გამანადგურებლისთვის საბრძოლო გაფრენად ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი გაფრენა, რომლის დროსაც გამანადგურებლებს ჰქონდათ შეხვედრა საჰაერო მოწინააღმდეგესთან და აწარმოებდნენ მათთან საჰაერო ბრძოლას, ხოლო შემტევი ავიაციისა და ბომბდამშენების დაცვის ამოცანის შესრულების დროს საბრძოლო გაფრენად ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი გაფრენა, რომლის დროსაც მოიერიშე და ბომბდამშენ თვითმფრინავებს საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს არ ჰქონდათ დანაკარგები მტრის გამანადგურებლების შეტევებისგან...
>
> 3. ანაზღაურება საბრძოლო გაფრენებისთვის და მთავრობის ჯილდოებზე წარდგენა ამიერიდან მოხდეს ამ ბრძანების მკაცრი დაცვით.
>
> 4. მფრინავი-გამანადგურებლები, რომლებიც თავს არიდებენ ბრძოლას საჰაერო მოწინააღმდეგესთან, გადაეცნენ სასამართლოს და გადაყვანილი იქნენ საჯარიმო ნაწილში — ქვეით ჯარში.
>
> 5. ბრძანება გამოეცხადოს ყველა გამანადგურებელ ჯარისკაცს ხელმოწერით.

1942 წლის იგივე სექტემბერი და კიდევ ერთი გასაოცარი ფაქტი. ჩვენ მას ვგებულობთ სსრ კავშირის ერთ-ერთი გამოჩენილი ტანკისტის, საბჭოთა კავშირის გმირის, ჯავშანსატანკო ჯარების მარშლის მიხეილ ექვთიმეს ძე კატუკოვის აღწერიდან. სწორედ სტალინი ასწავლიდა სატანკო მეთაურებს... ისროლონ მოძრაობის დროს თავიანთი საბრძოლო მანქანებიდან. და ეს იყო არა ომის დასაწყისში, არამედ მისი დაწყებიდან ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ — კატუკოვი მიიწვიეს სტალინთან 1942 წლის 17 სექტემბერს. საერთოდ საბრძოლო მეთაურებთან ურთიერთობაში სტალინს უკეთ ესმოდა არმიის მოთხოვნები. მაგალითად, კატუკოვთან საუბრის შედეგად შეიცვალა წითელ არმიაში დაჯილდოების წესი. და სატანკო მეთაურის სიტყვები იყო ერთ-ერთი მიზეზი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისა.

— ვიფიქრებთ, — თქვა იოსებ ბესარიონის ძემ და კვლავ გადაიტანა ჩვენი საუბარი საბრძოლო საქმეებზე, წმინდა სატანკო საქმეებზე. შემეკითხა, — ისვრიან ტანკისტები მოძრობის დროს?

მე ვუპასუხე, რომ არა, არ ისვრიან.

— რატომ? — უმაღლესმა დაკვირვებით ჩამხედა თვალებში.

— მოძრაობის დროს სიზუსტე ცუდია და ჭურვებს ვუფრთხილდებით, — ვუპასუხე მე. — ჩვენი განაცხადები საბრძოლო მასალებზე ხომ მთლიანად არ კმაყოფილდება.

სტალინი დაფიქრდა, ყურადღებით შემხედა და მკაფიოდ ალაპარაკდა, ყოველ სიტყვას ამბობდა გამოკვეთილად:

— მითხარი გეთაყვა, ამხანაგო კატუკოვ, შეტევის დროს ხომ საჭიროა გავანადგუროთ გერმანელთა მატარებლები? საჭიროა და, უწინარეს ყოვლისა, ვინ უნდა გააკეთოს ეს? რასაკვირველია, ტანკისტებმა, რომლებსაც მტრის ქვემეხები ხელს უშლიან წინსვლაში. დაე, თქვენი ჭურვები ვერ მოხვდნენ მტრის ქვემეხებს პირდაპირ, სკდებოდნენ მახლობლად, ასეთ შემთხვევაში როგორ ისვრიან გერმანელები?

— რასაკვირველია, ცეცხლის სიზუსტე მტერს დაუქვეითდება.

— აი, ესაა საჭირო, — თქვა სტალინმა. — ისროლეთ მოძრაობის დროს, ჭურვებს მოგცემთ, ჩვენ ახლა ჭურვები გვექნება (ამოღებულია მ.ე.კატუკოვის წიგნიდან „მთავარი დარტყმის მახვილზე“).

1942 წლის დეკემბერი. მიმდინარეობს სტალინგრადთან ფელდმარშალ პაულიუსის ალყაშემორტყმული არმიის ლიკვიდაცია. თუმცა მიმდინარეობს ნელა და მიზეზი არის არა მხოლოდ გერმანელთა თავგანწირული წინააღმდეგობა, არამედ საბჭოთა სარდლობის პირდაპირი შეცდომებიც. ამაზე მეტყველებს სტალინის დეპეშა, რომელიც მომავალ მარშალ ვასილევსკის გაეგზავნა:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

ბასრი კალმით მებრძოლი მწერალი და ჟურნალისტი

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი **ოთარ ივანეს ძე ხუციშვილი.** ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:



ბატონო ოთარ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმეო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მხცოვან, ღვაწლმოსილ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 წლისთავს.

ქართველი მკითხველი თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც გამოჩენილ ჟურნალისტს, ობიექტურ, პირუთვნელ, ქედუხრელ კალმოსანს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ერთგულად და შეურცხვენლად იცავდა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ყველას, ვისთვისაც ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა მათი სამარცხვინო ვნებებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებელი ასპარეზი იყო და არა ის ღვთაებრივი ტაძარი, სადაც მუხლმოდრეკილმა სული უნდა უბერო იმ უძვირფასეს სიწმინდეებს, აქამომდე რომ მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული ერი.

დიახ, თქვენ უკვე თვალსაჩინო, გამობრძმედილი ჟურნალისტი ბრძანდებოდით, როცა 1981 წელს პირველი ლიტერატურული ნაწარმოები გამოაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში“. მას შემდეგ თქვენი ნაკალმარი სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი უაღრესად საინტერესო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მოვიქცეთ ახლა ჩვენ“, „ელამი სარკე“, „ცხოვრება ღიმილით“ ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებში თავმოყრილია ერთი შეხედვით თითქოს მეტისმეტად ლაღი იუმორით გაჯერებული ფელეტონები, ნოველები და მოთხრობები, რომლებშიც დაკვირვებული მკითხველი ჩვენი ნაცრისფერი ყოფის არსსაც ჩაწვდება და იმ გაუგონარ სიმახინჯეებსაც შეამჩნევს, რასაც ასე დაუნდობლად ებრძვით ქართული სულით, ქართული პატიოსნებით, შესანატრი იუმორით სავსე შემოქმედი. ეს ტექსტები მართლაც რომ ქვეყნის ჭირისუფლის სულის ქურაშია ნაწრთობი, მათში მხოლოდ ჯანსაღი და უბოროტო იუმორია დავანებული და მრავალფეროვნებით, სისხარტითა და უზადო, თავნკარა ქართულით გვხიბლავს ყველას...

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. მთელი ცხოვრება ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდით თქვენს სათაყვანებელ სამშობლოს. იყავით თელავისა და ახმეტის რაიონული გაზეთების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „რესპუბლიკის“ ლიტერატურული მუშაკი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების რედაქტორი...

თქვენი ღვაწლი და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდო — ღირსების ორდენი. ლაურეატი ბრძანდებით ისეთი პრესტიჟული პრემიებისა, როგორიცაა ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიები.

ძვირფასო ოთარ!

ყოველთვის გვხიბლავდით პირდაპირობით, იუმორით და სიმართლის თქმის უნარით. ამის საუკეთესო ნიმუშია თუნდაც ის ფაქტი, რომ შემდგენელი და რედაქტორი ხართ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მედეა მეზვრიშვილისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური კრებულისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოთა ეპოქის არაერთ პარტიულ მუშაკთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს ზოგიერთი მესვეური...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავაც სამშობლო ქვეყნის უებრო სამსახურს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შენისთანა კაცები სჭირდება ქვეყანას!

ტკბილ სიბერეს ახალგაზრდობაშივე ეყრება საფუძველი.

კაცურად, სწორად განვლილი სიჭაბუკისა და სიჭარმაგის შემდეგ მზიანი შემოდგომა უდგას ოთარ ხუციშვილს: 85 წლისა მოიყარა ჩვენი უხუცესი ძმა (უხუცესი არა „ყველაზე მოხუცის“, არამედ ერთადერთი და პირდაპირი მნიშვნელობით — უფროსი).

კვლავაც ძველებურად „პირმშვენიერ-ჰაეროვანი“, კუნთებით ნაქსოვი, ნათელი, უტყუარი გონების მქონე დაუზარლად მოყვასის გვერდში მდგომი, თითით საჩვენებელი ოჯახის თავკაცია: მისი ალიკვალი ვაჟი კობა და შვილიშვილები...

ოთარ ხუციშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართული ჟურნალისტიკა მხრებით მოიტანა აქამდე: არასოდეს მრუდედ არ უთქვამს, არასოდეს სიმართლისთვის არ უღალატია. პოეტის სტრიქონის პერიფრაზით, მას მართლაც შეუძლია თქვას, დავკარი, ვიყავ მართალი, ვით ჩემი კალმის მიზანიო...

დაიწყო მშობლიური თელავით, მისი რედაქტორობით „ალაზნის განთიადი“ ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონულ გაზეთთა შორის — მებრძოლურობით, სიცინცხალით, ეროვნული სულისკვეთებით: „თამასა არ ჩამოუგდია“ დედაქალაქში გადმოსვლის შემდეგაც — გაზეთებში „თბილისში“, „რესპუბლიკაში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“ მუშაობისას.

ნათქვამია, ვინც ხშირად ისვენებს, ის იჟანგებაო. ოთარს, როგორც ჟურნალისტს, არასოდეს ჩაუმუხლია, ფეხმოუცვლელად დგას ცხოვრების შუაგულში, ფხიზლად აყურადებს მის მაჯისცემას.

ბატონი ოთარი მრავალმხრივი შემოქმედია: ძირითადად ცნობილია როგორც ეკონომიკის ექსპერტი, მისი ეკონომიკური მიმოხილვები (და წიგნები) მკითხველს უტყუარად აკვალიანებს, ხელჩაჭიდებული დაატარებს ამ დარგის სიახლეებსა და ნიუანსებში. ამასთან ერთად, მკითხველი მას იცნობს ლაღ იუმორისტადაც, ჩვენი ყოფის არაერთი მახინჯი მოვლენა იქცა მისი ფელეტონებისა და ჩანახატების სამიზნედ.მისი იუმორი თბილია, რბილია, კეთილად რომ გაგაღიმებს და ჩაგაფიქრებს და არა ხისტი, ცინიზმში გარდამავალი. ოთარ ხუციშვილი და მისი ლიტერატურული ორეული ოტია ჩართოლანი ხელიხელჩაკიდებული მიუყვებიან შემოქმედებით გზას.

მდიდარი გამოცდილება, მოვლენებში ღრმად წვდომის უნარი, მას ბუნებრივად აქცევს დამრიგებლად, არა მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლებისთვის...

წინ კიდევ დიდი გზაა, ბატონო ოთარ! კვლავაც მუხლგამართულად გევლოს ამ გზაზე, ძვირფასო ძმაო და კოლეგავ. შენისთანა კაცები სჭირდება ქვეყანას!

ალეკო ასლანიშვილი

ჯანსაღი იუმორის ეფექტი

ჩვენში კარგად ცნობილ ჟურნალისტ ოთარ ხუციშვილს, სატირის, პამფლეტის, სარკაზმისა და ირონიის ურთიერთშედუღებებით, იუმორისტულ წიგნებად ქცეული ისეთი კოქტეილ-შენადნობი მიუღია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მაღალპროფესიულ, ნიჭიერებით ბეჭედდასმულ ჟურნალისტიკისა და მწერლობის სისხლით ნათესაობას.

ვინც ასე თუ ისე, იცნობს ოთარ ხუციშვილს, იქნებ გაუჭირდეს კიდეც ერთმანეთთან დააკავშიროს, ერთი შეხედვით, მოჩვენებითი მისი შინაგანი ფლეგმატურობა და ხმის დაბალი ტონალობა — ცინცხალ, ზეეფექტურ, ენაკვიმატ უეცარ „აფეთქებებთან“ ასეთ მომენტებში ავტორი ისეთი უცოდველი კრავის მიამიტ და სერიოზულ გამომეტყველებას იღებს, ისეთი „მზაკვრული“ გაკვირვებით მისჩერებია ახარხარებულ მკითხველს, თითქოსდა თავად არ შექმნა ასეთი ჯანსაღი იუმორის ეფექტი.

ანზორ აბულაშვილი

ერის მოჭირნახულე კალმით

ბევრიც ვეცადო, მიახლოებითაც ვერ ვიტყვი, რამდენი წელიწადია, რაც ოთარ ხუციშვილს ვიცნობ, ორმოცზე ნაკლები რომ არ იქნება, წყალი არ გაუვა. საკმაოდ ცნობილია ოთარის ორიგინალური ხალასი იუმორი, ჰაერზე არ ვამბობ, აგერ ბატონო, საბუთი — მშვენიერი წიგნი! ეს უკვე დოკუმენტია, პატრონი ჰყავს და ამისი სხვა ხუმრობებისა არ იყოს, ვეღარავინ მიითვისებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა და ხაზსაც ამიტომ ვუსვამ — ბოლო წლებში არ ყოფილა კანონად ქცეული უმეცართა, უგუნურთა, უბადრუკთა ნაბრძანებ-ნაბოდვარი, ოთარი რომ არ გამოხმაურეობდა ერის მოჭირნახულისა და ჭირისუფლის კალმით. რამდენჯერ ვყოფილვარ მოწმე, გაზეთის ბოლო გვერდზე ოთარის „ნატურალურ“ ფელეტონს რომ კითხულობდნენ მოწონების ღიმილით, სიცილით და ავტორის გვერდში მდგომი ჩახვეული გინებითაც.

კარლო კოგბერიძე

ნუ გავანადგურებთ ბზას

ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორემ საზოგადოებას მიმართეს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ბზის მოჭრისაგან რეალიზაციის მიზნით და დიდი რაოდენობით ტოტების შეძენისაგან.

ტყეში ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა და გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები.

საჯარიმო სანქციების ოდენობა 200-დან 500 ლარამდეა, ხოლო, თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 1000 ლარს — აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. ბზა შესაძლებელია, მოპოვებული იყოს მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებულ სანერგეებიდან, ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე. კოლხური ბზა გადაშენების საფრთხის წინაშეა და ამის გამო დაცულია საქართველოს „წითელი ნუსხით“.

ჩვენი ქვეყნისთვის მას აქვს როგორც უდიდესი ეკოლოგიური დატვირთვა, როგორც ენდემურ სახეობასა და კოლხური ტყეების ერთ-ერთი დომინანტ და უძვირფასეს მცენარეს, ასევე, მნიშვნელოვანია რელიგიური თვალსაზრისით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბზა მასობრივად ხმება ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე. დადგენილია ხმობის ძირითადი მიზეზები: დაავადება — ე.წ „ბზის სიდამწვრე“ (დაავადებამ თითქმის მთლიანად გაანადგურა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ბზის უნიკალური კორომები) და დაავადებას დაემატა მავნებელი მწერი — ბზის ალურა, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჯერ კიდევ შემორჩენილ, ჯანსაღ ნარგაობას. ამჟამად დღის წესრიგში დგას კოლხური ბზის, როგორც სახეობის გადარჩენა, რაც კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული, ფინანსურად უზრუნველყოფილი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

სამინისტრო ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ამკაცრებს კონტროლს ბზის მოჭრაზე და სამართალდამრღვევზე გავრცელდება კანონით დადგენილი სანქციები.

რკინიგზა ქუთაისის აეროპორტამდე

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის მშენებლობა იწყება — პროექტს, რომელიც საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმართულების — სივრცითი მოწყობის შემადგენელი ნაწილია, ქუთაისში დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ჩაუყრის საფუძველს. ცერემონია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში 20:30 საათზე გაიმართება.

ქუთაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრი 18:00 საათზე ასევე, გახსნის იმერეთის რეგიონში პირველ ბრენდირებულ სასტუმროს — Best Western Kutaisi, რომელიც „კაპიტოლ ქუთაისი ჰოტელისა“ „საპარტნიორო ფონდის“ პარტნიორობით აშენდა. 3-ვარსკვლავიანი სასტუმრო ქალაქის ისტორიულ ცენტრში მდებარეობს; აქვს 40 სტანდარტული და ნ ლუქსის ტიპის ნომერი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. პროექტის ღირებულება 3 მილიონი აშშ დოლარია, რომელშიც „საპარტნიორო ფონდის“ მონაწილეობა 1,4 მლნ აშშ დოლარია.

ვულოცავთ!

ქართველ ისტორიკოსთა დიდებულ, სახელოვანი ამქრის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს ვახტანგ კიკნაძეს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ხარაგაულელი ჭაბუკი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა — სკოლაში მასწავლებლად მუშაობის გარდა, პარალელურად სოფ. მარელისის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, კომკავშირის მდივანიც და ბევრი სასიკეთო წამოწყების ინიციატორიც გახლდათ. დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა — უქმე დღეებში რაიონის მიუვალ სოფლებში მოძრავ ბიბლიოთეკას უძღვებოდა, მრავალკილომეტრიან მარშრუტებს აკეთებდა ფეხით, ჟურნალ-გაზეთები ჩაჰქონდა იქ მოსახლე ხალხისთვის.

მერე იყო უნივერსიტეტის ასპირანტურა, დისერტაციის წარმატებით დაცვა, შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა.

ჩვენი კოლეგისა და გულითადი მეგობრის ვახტანგ კიკნაძის შრომა საგანგებოდ აღინიშნა 1973 წელს, როცა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასწავლო ობიექტების მშენებლობაზე მიღწეული წარმატებებისთვის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით იქნა დაჯილდოებული. 1977-81 წლებში იყო უნივერსიტეტის ასპირანტი. ამჟამად იგი წარმატებით ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“.

წლების მანძილზე ვახტანგ კიკნაძემ დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა კოლეგებსა და თანამშრომლებში, როგორც კეთილსინდისიერმა, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალმა, საქმის დიდმა გულშემატკივარმა კაცმა.

ჩვენს ძვირფას ვახტანგს გულითადად ვულოცავთ დაბადების 65 წლისთავს, ვუსურვებთ ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს თავის საყვარელ ცოლ-შვილთან, ახლობლებთან და კოლეგებთან ერთად.

სიყვარულით,
მეგობრები, კოლეგები

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)
კრედიტი/სესხი IBRD 8402-GE
პროექტის No.: P148048

დავალების სახელწოდება: დეტალური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 11 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის (დაახლოებით 68კმ) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში (SLRP III)

კონტრაქტი/ RFP No: SLRP III/CS/QCBS-09

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **"დეტალური პროექტის, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის დოკუმენტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 11 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის (დაახლოებით 68კმ) შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში"**.

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება საპროექტო ღონისძიებებთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიაში შეყვანის კრიტერიუმებია:

ზოგადი გამოცდილება.

ანალოგიური გამოცდილება - გზების რეაბილიტაციის ან მშენებლობის პროექტების ფარგლებში დეტალური პროექტების მომზადება ბოლო 5 წლის განმავლობაში (2012 წლის პირველი იანვრიდან).

დავალების საავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ ***(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე)***. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ღირებულების შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე **არაუგვიანეს 2017 წლის 19 აპრილის 17:00 საათისა.**

სახელი: ნუგზარ გასვიანი

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ.ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)
Credit / Loan No. IBRD 8402-GE
Project No. P148048

Assignment Title: Preparation of Detailed Design, Environmental and Social Management Documents, and Bidding Documents for Rehabilitation of 11 road sections (appr. 68 km) under the Third Secondary and Local Roads Project

Contract/RFP No: SLRPIII/CS/QCBS-09

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of Detailed Design, Environmental and Social Management Documents, and Bidding Documents for Rehabilitation of 11 Road Sections (appr. 68 km) under the Third Secondary and Local Roads Project".**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The shortlisting criteria are:

General experience;

Similar experience, i.e. preparation of detailed designs for road rehabilitation or construction projects within the last 5 years (i.e. since January 01, 2012);

Estimated duration of assignment is 6 months.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association ***(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)*** to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057 http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Quality and Cost-based Selection** method set out in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 19, 2017, 17:00 hours**.

Name: Nugzar Gasviani
Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

წინ, საქართველო!

◎ ფიგურული ციგურაობა

დებიუტი ოლიმპიური ლიცენზიით



ჰელსინკიში დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ეს შეჯიბრება დებიუტი იყო მორის ყვითელაშვილისთვის, რომელმაც შესანიშნავად იასპარეზა. 22 წლის ქართველი სპორტსმენი მოკლე პროგრამის შემდეგ 36 სპორტსმენს შორის მე-19 ადგილზე იყო, მაგრამ თავისუფალი პროგრამა დამაჯერებლად შეასრულა და 162,90 ქულით მე-11 ადგილი დაიკავა, საბოლოოდ კი 239,24 ქულით მე-13 ადგილი ერგო და საქართველოს 2018 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია მოუტანა. ეს ფორუმი გაისად 9-25 თებერვალს სამხრეთ კორეაში, კერძოდ, პიონგჩანგში გაიმართება. საგულისხმოა, რომ ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონმა ხავიერ ფერნანდესმა (ესპანეთი) ტიტული ვერ შეინარჩუნა. 321,59 ქულით პირველ ადგილზე იუძურუ ჰანიუ (იაპონია) გავიდა.

ასევე, ჩემპიონები გახდნენ: **ქალებში** — ევგენია მედვედევა (რუსეთი, 233,41), **წყვილთა ციგურაობაში** — ვენჯინგ სული, კონ ჰანი (ჩინეთი, 232,06), **ცეკვებში** — ტესა ვირჯი, სკოტ მორი (კანადა, 198,62). ამ სახეობაში საქართველოს წარმომადგენლები — ტატიანა კოზმავა და ალექსეი შუმსკი 42.71 ქულით ბოლო ადგილზე გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ავტოსპორტი

ქაჯაია პირველივე ეტაპიდან დაწინაურდა

TCR-ის საერთაშორისო სერიის 2017 წლის პირველობა წარმატებით დაიწყო ქართველმა ავტომრბოლმა დათა ქაჯაიამ - სასტარტო შეჯიბრებაში, რომელსაც რუსთავის ავტოდრომმა უმასპინძლა, მან პირველი ადგილი დაიკავა.

„უბედნიერესი ვარ... სიტყვები არ მყოფნის! მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს ქვეყანას ასეთი მხარდაჭერისთვის“! — თქვა დათამ პირველი რბოლის შემდეგ.

წარმატებული კვალიფიკაციის მერე პირველ რბოლაში ჩვენებურმა შესანიშნავი სტარტი აიღო და 5 წრის განმავლობაში უპირატესობას თანდათან ზრდიდა, მაგრამ მე-6 წრიდან წინა საბურავების პრობლემების გამო იძულებული გახდა თავდაცვაზე გადასულიყო. დარჩენილ 9 წრეზე ქაჯაია უშეცდომოდ ეპაექრებოდა უნგრელ ფერენც ფიჩას - დათამ მეტოქეს რამდენჯერმე გადაუკეტა გასასწრები ზონები, ფინიშთან

პირველი იყო და 25 ქულა დაიმსახურა.

ქართველმა სპორტსმენმა მე-2 რბოლა მე-10 პოზიციიდან დაიწყო,თუმცა, მაინც მოახერხა წინ წაწევა და პირველი დღის მონაგარს კიდევ 8 ქულა შეჰმატა, საბოლოოდ კი კვალიფიკაციის მოგებისთვის 5 ქულა ერგო. დათა ქაჯაია პირველი ეტაპისა და 2 რბოლის შემდეგ TCR ინტერნაციონალს 38 ქულით ლიდერობს. მომდევნო ეტაპი ბაჰრეინში 14-16 აპრილს გაიმართება, ხოლო სულ ჩემპიონატში დარჩენილია 9 ეტაპი და 18 რბოლა.

პირველი ეტაპის შემდეგ საუკეთესო ხუთეული ასეთია: 1. დავით ქაჯაია (საქართველო, 38 ქულა), 2. ატილა ტაში (უნგრეთი, 32), 3. პეპე ორიოლა (ესპანეთი, 31), 4. ჟან-კარლ ვერნეი (შვეიცარია, 25), 5. ფერენც ფიჩა (უნგრეთი, 21).

თამაზ პატარიძე

◎ ძიუდო

სამი დღის ექვსი ჯილდო

წლეულს ძიუდოისტთა თბილისის „დიდ პრიზს“ ახალმა ოლიმპიურმა სასახლემ უმასპინძლა. შეჯიბრებაში 38 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მასპინძლებმა სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში ბრაზილიისა და რუსეთის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო ვაჟებში ყველას აჯობეს. ქართველთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლუხუმ ჩხვიმიანი (60), ლაშა გიუნაშვილი (66) და ადამ ოქრუაშვილი (+100) ავიდნენ, ვერცხლის მედალი ამირან პაპინაშვილს (60) ერგო, ხოლო უშანგი მარგიანმა (90) და ლევან მატიაშვილმა (+100) მესამე ადგილები დაიკავეს.



ლუხუმ ჩხვიმიანი

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი ვიხილეთ: ჩხვიმიანმა სტარტზე ბელგიელ ჰორე ვერსტრაეტენს „ოქროს დროში“ მოპოვებული გაფრთხილებით სძლია, მერე აზერბაიჯანელი საჰიბ ასგაროვი 2 წუთში დაამარცხა, მონლოლ ამარბოლდ ჯაგვარალდორჟს ორი ვაზარით აჯობა, უზბეკი მუხრიდინ ტილოვოვი კი მესამე დამატებულ წუთზე მტკივნეული ილეთით გააკრა ტატამს.

ევროპის 2013 წლის ჩემპიონმა პაპინაშვილმა მეორე წრეში ებრაელ ალონ რაჰიმასთან მიაღწია წარმატებას, მერე 2 ვაზარით აჯობა აზერბაიჯანელ მეჰმან სადიგოვს, ხოლო ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ალბერტ დოგუზოვს ვაზარი აართვა „ოქროს დროში“. ფინალში ჩხვიმიანმა თანაგუნდელ პაპინაშვილს ორი ვაზარით აჯობა და ოქროს მედალთან ერთად 700 სარეიტინგო ქულაც მოიპოვა, რაც მსოფლიოს კლასიფიკაციაში, სავარაუდოდ, 25 საფეხურით დაწინაურებს და პირველ ოცეულში მოხვდება, ხოლო პაპინაშვილს ვერცხლის პრიზიორობით 490 ქულა ერგო, ეს კი შესაძლოა, მოწინავე სამეულში დასაბრუნებლად ეყოს.

სპეციალისტებსა და ქომაგებს სიურპრიზი 66 კილოში გიუნაშვილმა შესთავაზა — მის ჩემპიონობას არავინ ელოდა. ლაშამ სამი კვირის წინათ ბაქოს დიდ სლემზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 24 წლის ქართველმა ძიუდოისტმა თბილისში ჯერ კოლუმბიელ ხორხე გონზალესსა და ბელგიელ იასპერ ლეფევრს სძლია, მერე აზიის მოქმედი ჩემპიონი, პირველ ნომრად განთესილი მონგოლი ალტანსუხ დოვდონი ერთი გაფრთხილებით ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში ბრაზილიელ ჩარლ ჩიბანას ვაზარით აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კიდევ ერთ მონგოლს — მეორე ნომრად განთესილ ტუმურხულეგ დავაადორჟს მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა.

მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილმა სტარტზე რუსთა მსოფლიოს სამგზის და ევროპის ექვსგზის ჩემპიონი, ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტი ალექსანდრ მიხაილინი გაფრთხილებებით მოახსნევინა, მერე ზედიზედ სძლია ყაზახ იელამან იერგალიევს, ბრაზილიელ დავიდ მოურას, უკრაინელ სტანისლავ ბონდარენკოს და ოქროს მედალი დაიმსახურა. მესამე ადგილებზე გასულ უშანგი მარგიანსა და ლევან მატიაშვილს 350-350 სარეიტინგო ქულა ხვდათ.

ახლა ჩვენი ძიუდოისტები ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელიც 20-23 აპრილს ვარშავაში გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

აქეთურ - იქითური

ეროვნული ლიგა. IV ტური. „დილა“ — „საბურთალო“ 0:1 (ვაგნერი), „სამტრედია“ — „დინამო“ 0:2 (მიქელთაძე, ლობჟანიძე), „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ 1:1 (კიკნაძე; საბანაძე), „ჩიხურა“ — „ბათუმი“ 0:1 (თევდორაძე), „შუქურა“ — „კოლხეთი“ 2:4 (კუტალია — 2; კოვტალიუკი — 3, ბუხაიძე).

სატურნირო მდგომარეობა: „საბურთალო“ — 9, „ჩიხურა“, „ლოკომოტივი“ — 7-7, „დინამო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“ — 6-6, „ტორპედო“ — 5, „დილა“, „სამტრედია“ — 4-4, „შუქურა“ — 2 ქულა.

ბომბარდირები: ჯანელიძე, კოვტალიუკი (ორივე „კოლხეთი“) — 3-3გოლი.

შემდეგი ტური: „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ — „დილა“ (4 აპრილი), „დინამო“ — „ჩიხურა“, „ბათუმი“ — „შუქურა“, „საბურთალო“ — „სამტრედია“ (5 აპრილი).



იტალია. „ნაპოლი“ — „იუვენტუსი“ 1:1, „რომა“ — „ემპოლი“ 2:0, „სასუოლო“ — „ლაციო“ 1:2.

ესპანეთი. „რეალი“ — „ალავესი“ 3:0, „გრანადა“ — „ბარსელონა“ 1:4, „მალაგა“ — „ატლეტიკო“ 0:2.

ინგლისი. „ჩელსი“ — „კრისტალ პალასი“ 1:2, „ბარნლი“ — „ტოტენჰემი“ 0:2, „ლივერპული“ — „ევერტონი“ 3:1.

გერმანია. „ბაიერნი“ — „აუგსბურგი“ 6:0, „ლაიფციგი“ — „დარმშტადტი“ 4:0, „შალკე“ — „ბორუსია“ 1:1.

საფრანგეთი. ლიგის თასი. ფინალი. „პსჟ“ — „მონაკო“ 1:1.

პორტუგალია. „ბენფიკა“ — „პორტუ“ 1:1.

ჰოლანდია. „აიაქსი“ — „ფეიენოორდი“ 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

პირველობა უჩემპიონოდ

უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში 23-წლამდელ „კლასიკოს“ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს წარმომადგენლებმა რვა წონითი კატეგორიიდან ხუთში მედლები დაიმსახურეს და გუნდურ ჩათვლაში 47 ქულით ყველას აჯობეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენებურთაგან ჩემპიონი არავინ გამხდარა. რუსები ქართველებს 2 ქულით ჩამორჩნენ, ხოლო 42 ქულით მესამე ადგილი აზერბაიჯანელმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა დაიკავეს.

სომბათჰეიში ოთხ-ოთხი მოგების შემდეგ მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებზე გავიდნენ რამაზ ზოიძე (71 კგ) და გელა ბოლქვაძე (80 კგ), დათო ჩხარტიშვილი (59 კგ), ლაშა გობაძე (85 კგ) და ზვიად პატარიძე (130 კგ) „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ, ხოლო ედნარ შავაძე (66 კგ), ბაკურ გოგოლი (75 კგ) და კუკური კირცხალია (98 კგ) კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

ნანა იაძე

◎ ჭადრაკი

რვანი საუკეთესოთა შორის

ფიდემ მარტის შედეგების გათვალისწინებით მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიო რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა საუკეთესო ათეულს 2649 პუნქტით ჩინელი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰოუ იფანი უდგას სათავეში. 2593 პუნქტით მეორეა მისი თანამემამულე ცზიუ ვენძიუნი. შემდეგ მოდიან: ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2587), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2557), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2546), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2543), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2541), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2538), ნანა ძაგნიძე (2528), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2527).

ძაგნიძის გარდა, ქართველთაგან პირველ ასეულში არიან: 15. ნინო ბაციაშვილი (2496), 23. ლელა ჯავახიშვილი (2456), 36. ბელა ხოტენაშვილი (2445), 62. ნინო ხურციძე (2400), 63. სალომე მელია (2400), 92. მერი არაბიძე (2373).

ვაჟთა კლასიფიკაციაში 2712 პუნქტით 35-ე ადგილზეა ბაადურ ჯობავა. პირველ ათეულში შედიან: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2838), ვესლი სო (აშშ, 2822), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2817), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2811), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2803), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2793), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2786), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2783), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2774), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2772).

გივი გაგუა

ნონა გაფრინდაშვილი სტუმრად თბილისის საჯარო ბაგა-ბაღში

თბილისის 35-ე საჯარო ბაღის აღსაზრდელებს უჩვეულო სიურპრიზი მოუწყვეს — გლდანის რაიონში მდებარე ბაგა-ბაღს მსოფლოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი ესტუმრა.

ინიციატივა, რომელიც ბაღებში ჭადრაკის შესახებ ღია გაკვეთილების ჩატარებისა და პატარებში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესის გაზრდას ისახავს მიზნად, მსოფლიო ჩემპიონს მაია ლომინეიშვილს ეკუთვნის. პირველი გაკვეთილი 35-ე ბაღის აღსაზრდელებს სწორედ ჩემპიონებმა ჩაუტარეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბავშვებისთვის ჭადრაკი უცხო არ ყოფილა და რამდენიმე აქტიურმა პატარამ ჩემპიონთან ერთად ითამაშეს. ღია გაკვეთილს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა და გლდანის რაიონის გამგებელი დიმიტრი ორმოცაძე დაესწრნენ.

ბაღის ადმინისტრაციამ კი თავის მხრივ ღონისძიების გაფორმებაზე იზრუნა და საპატიო სტუმრებს ჭადრაკის ფიგურების კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები და ლამაზი დეკორაციებით გაფორმებული ინტერიერი დაახვედრა.

„ძალიან მნიშვნელოვანია სპორტულ-ინტელექტუალური თამაშების დანერგვა საბავშვო ბაღებში. თუ ბავშვს აქვს მიდრეკილება ჭადრაკის თამაშისკენ, მნიშვნელოვანია, რომ 5-6 წლიდან მას მიეცეს შესაბამისი ცოდნა და გადადგას პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ნამდვილად დასაფასებელია ეს ინიციატივა და თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო მხარს დაუჭერს მის განხორციელებას,“ — განაცხადა თემურ თორდინავამ.

ჭადრაკის შესახებ ღია გაკვეთილებს მაია ლომინეიშვილი გლდანის რაიონის ბაღებში ჩაატარებს. მსოფლიო ჩემპიონს იმედი აქვს, რომ დღევანდელ აუდიტორიაშიც იყვნენ მომავალი ჩემპიონები.

საქართველოში პირველად ფემინისტური ფესტივალი ჩატარდება

ფესტივალი საქართველოში პირველი ფემინისტური გაზეთის, „ხმა ქართველი ქალის“ 100 წლისთავს უკავშირდება, რომელიც ქუთაისში, 1917-1918 წლებში, ფემინისტის, პუბლიცისტისა და აქტივისტის კატო მიქელაძის (1878-1942) თაოსნობით გამოიცემოდა.

ფესტივალის ფარგლებში გაიმართება დისკუსიები, მოხსენებები, გამოფენები, ფილმის ჩვენებები, ქუთაისის ფემინისტური ტური და დოკუმენტური სპექტაკლი „შვიდი“, რომელიც „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს ორგანიზებით, ნოემბერში უკვე დაიდგა ქ. თბილისში.

აღნიშნული ღონისძიების მთავარი თემები იქნება ის პრობლემები, რაც ქალებისთვის ერთი საუკუნის წინაც და ახლაც აქტუალურია: პოლიტიკაში მონაწილეობა, ეკონომიკური გაძლიერება, განათლება და სხვ.

ფესტივალს დაესწრებიან ფემინისტი აქტივისტები, გენდერის სპეციალისტები, „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს გრანტიორები და სხვა დაინტერესებული პირები.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან: გაეროს განვითარების პროგრამა, გლობალური ქალთა ფონდი და ჰოლანდიური ქალთა ფონდი „მამა ქეში“. ფესტივალის ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალია.

© კრიმინალი

ლალისყურელის არსენალი

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1954 წელს დაბადებული თ.მ., ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თელავის რაიონის სოფელ ლალისყურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი: „აკს 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით, კარაბინი, სპორტულ-სანადირო შაშხანა, „იჟ 27“-ის მოდელის გლუვლულიანი თოფი, კუსტარული წესით დამზადებული პისტოლეტი და 50 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა ვარგისია სროლისათვის. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

თავდასხმა ხიბულაში

ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში გუშინ გამთენიისას ერთ-ერთ ოჯახს თავს დაესხნენ. ოჯახის წევრების თქმით, სახლში ორი ნიღბიანი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი შეიჭრა, ერთი პირი კი თავდამსხმელებს გარეთ ელოდებოდათ. თავდამსხმელები დიდი რაოდენობით თანხას ითხოვდნენ, მას შემდეგ კი, რაც ისინი საბანკო ამონაწერის მეშვეობით დაარწმუნეს, რომ მათ მიერ მოთხოვნილი თანხა გადარიცხული იყო და სახლში აღარ ინახებოდა, მათ 300 ლარი და ოქროს ნივთები წაიღეს. ნაცემია ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ის სამართალდამცველებმა ქუთაისში ექსპერტიზის ბიუროში გადაიყვანეს.

სანთელი



უახლოესი მეგობრები: ალეკო ციბაძე, ნოდარ ემუხვარი, რომან მახარაძე, რამაზ ხეცურიანი, თემურ პეტრიაშვილი, რამაზ კუტუბიძე, კოკი კეკელიძე, ზურაბ ვადაჭკორია, ზურაბ ორჯონიკიძე, გია ავალიშვილი, ზაურ ფხალაძე გულისტკივილით იუწყებიან , რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქირურგი, ღირსების ორდენის კავალერი, ღირსეული მამულიშვილი და საუკეთესო მეგობარი

თემურ ქორიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა. უფალმა დაუმკვიდროს მას სასუფეველი! ამინ!

თეიმურაზ, შალვა პეტრიაშვილები, მაია კაკაურიძე, მარინე გაგოშიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თეიმურაზ ქორიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ამირან ქორიძეს ძმის

თემურ შალვას ძე ქორიძის

გარდაცვალების გამო.

რეზო, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის ახლო მეგობრის, სამედიცინო საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლის, შესანიშნავი პიროვნების, ბატონ

თემურ ქორიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ ნანუკას, შვილებს ირაკლისა და ლევანს, ძმას, ბატონ ამირანსა და ოჯახის ახლობლებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკისა და ქირურგიის №1 დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დოცენტი

თეიმურაზ ქორიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ცნობილ ქართველ მეან-გინეკოლოგს, მედიცინის დოქტორს, პროფესორ ამირან ქორიძეს გარდაეცვალა ძმა, მედიცინის დოქტორი, პროფესორი

თემურ ქორიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თენგიზ ქავთარაძე, ნოდარ ბოლოთაშვილი, გია ციხისთავი სამძიმარს უცხადებენ ნოდარ გიორგაძეს მამის

ქუჩუკი ალექსანდრეს ძე გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის ყოფილ მოადგილეს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს მამის

არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

გარდაიცვალა პოეტი

ევგენი ევტუშენკო



კვირას, 2 აპრილს, 84 წლისა გარდაიცვალა დიდად სახელგანთქმული რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოს ხშირი სტუმარი იყო. რუსულად თარგმნიდა თავისი თაობის ქართველ პოეტებს. თავისივე ანდერძის თანახმად, პოეტს პერედელკინოში, ბორის პასტერნაკის გვერდით დაკრძალავენ.

გილოცავთ!

საქართველოს ყველა კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც უსაზღვროდ უყვართ და უდიდეს პატივსაც მიაგებენ. და მაინც, ვფიქრობთ, ძნელად თუ მოიძებნება სხვაგან ჩვენებური ღირსშესანიშნავი, კეთილშობილი, თბილი ქალბატონის **ვარდო მგალობლიშვილის** დარი პიროვნება, რომელსაც დღეს 92 წელი შეუსრულდა.

ჩვენო ძვირფასო ქალბატონო ვარდო! პირველ ყოვლისა, გვინდა, გისურვოთ ჯანმრთელობა და თქვენი უახლოესი ადამიანების სიმხნევე და ბედნიერება, თქვენ ხომ მუდამ სხვათა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და გვერდში მდგომი იყავით.

დღეგრძელი იყავით, საყვარელო ვარდიკო! დაე, კიდევ დიდხანს ძგერდეს თქვენი სიყვარულით სავსე გული, გჯეროდეთ, ყველას ძალიან გვიყვარხართ.

სიყვარულით –
აბაშის რაიონის სოფელ
მარნის უახლოესი მეგობლები

ბრიტანელებს სურთ, პასპორტს ტრადიციული ლურჯი ფერი დაუბრუნონ

დიდი ბრიტანეთის მთავრობა მზადაა 490 მილიონი ფუნტი გამოყოს პასპორტის ფერის შესაცვლელად. ახლა ისინი ევროპულ, მუქ წითელ პასპორტებს იყენებენ და სურთ, რომ კვლავ ძველ ლურჯ ფერს დაუბრუნდნენ.

გაერთიანებული სამეფო უსაფრთხოების მიზნით ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უცვლის დიზაინს პასპორტებს. ახლანდელ კონტრაქტს ვადა 2019 წელს ეწურება და ამ დროისთვის ფიქრობენ ახალი პროექტის განხორციელებას.

დაახლოებით ამ დროს დატოვებს ქვეყანა ევროკავშირს.

ბობ დილანი ნობელის პრემიას დასთანხმდა!



ლეგენდარული სიმღერების ავტორი და შემსრულებელი ბობ დილანი ხუთი თვის შემდეგ ნობელის პრემიის მიღებას დასთანხმდა. როგორც ცნობილია 2016 წლის 10 დეკემბერს დაჯილდოების ცერემონიალს იგი არ დაესწრო.

დილანის მოთხოვნით დაჯილდოება დახურული იყო და მასმედია არ დასწრებია. ცერემონიაზე მხოლოდ ბობ დილანი და აკადემიის წევრები იმყოფებოდნენ.

მუსიკოსის, მხატვრის, მწერლისა და მსახიობის კარიერა 50-წელზე მეტს ითვლის. ნობელის პრემიის ისტორიაში ბობ დილანი ერთადერთი მუსიკოსია, რომელსაც ეს ჯილდო გადაეცა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

◎ სიახლე დედაქალაქის ზოოპარკში

ლატვიელი... ვეფხვი, ბრიტანელი... კენგურუები და სხვანი

აპრილის ამ გაავდრებულ დღეებში თბილისის ზოოპარკში ახალმოსახლეობაა: ვოლიერებში ბინა დაიდეს ლატვიიდან ჩამოსულმა ხვადმა ვეფხვმა და ლონდონის ზოოპარკის ყოფილმა ბინადარმა შვიდმა ავსტრალიურმა კენგურუმ, ასევე ინგლისური ჯიშის გრძელბეწვა ფაფრიანმა ცხვრებმა, რომლებიც ძალიან ჰგვანან ჩვენებურ ჯიხვებს.

– რიგის ზოოპარკთან დიდი ხნის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობები გვაკავშირებს, – გვითხრა ზოოპარკის დირექტორმა **ზურაბ გურიელიძემ.** – ლატვიელი კოლეგები დიდ დახმარებას გვიწევენ, რათა 2015 წლის წყალდიდობის შედეგად მიღებული ექსპონატების დანაკლისი შევავსოთ. და აი, ახლაც, დიდებული საჩუქარი მოგვართვეს, ხვადი ვეფხვი გვაჩუქეს, მომავალში ძუსაც გვპირდებიან, დიდი მადლობა მათ თანადგომისთვის.

საჩუქრები მივიღეთ ლონდონიდანაც – იქაურმა ზოოპარკმა კენგურუები და ინგლისური ცხვრის „პატარა ფარა“ გამოგვიგზავნა, მალე პინგვინების გუნდსაც ველოდებით, და, ცხადია, მათაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ასე რომ, ზაფხულისთვის ჩვენი ზოოპარკი მნახველებს უფრო მეტი ეგზოტიკური ცხოველის ხილვის შესაძლებლობას მისცემს. აქვე დიდი სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ავბედითი წყალდიდობის შემდეგ თითქმის განადგურებული უიშვიათესი თეთრი ლომების პოპულაცია თანდათანობით აღდგენის გზას ადგას, რაც თითოეული ჩვენი თანამშრომლის დიდი ძალისხმევის, გულიანი მოვლის საუცხოო შედეგია.

დალი ხუნდაძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ სხვათაგან თქმული...

ვიცინოთ, ვიჯიროთ თუ ვიფიქროთ?..

ძალა არგუმენტი არ არის, მაგრამ გვარწმუნებს.

ჩლუნგი ცოლი მთელი ცხოვრება ხერხავს ქმარს.

ცარიელ თავში ბევრი სისულელე ეტევა.

თაღლითობა ადვილი საქმეა, თუ ირგვლივ ბრიყვებს თვლა არა აქვთ.

ხალხის მსახურნო! თუ ემსახურებით, ემსახურეთ, თვალს ნუღა უხვევთ, ნუ ატყუებთ.

მუხლებზე როცა ეცემი, შენ წინ სულ სხვა პერსპექტივები იშლება.

ჯუნგლის კანონები ბოტანიკოსებისთვის არ იწერება.

კარგად დაფიქრებას, როგორც წესი, საკუთარი თავი გვიშლის.

ჯანმრთელობა ბუმერანგი არ არის: თუ მიუშვებ, უკან აღარ დაგიბრუნდება.

არცროდის ისე კარგად არ გვიცხოვრია, როგორც არცროდის.

არც არაფერზე ფიქრობ? ეგეც აზრია!

თუ ფინანსები რომანსებს მღერიან, მაშასადამე, კულტურა აღმავლობის გზაზეა!

ორატორი ის კაცია, რომელიც უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ფიქრობს.

ნუ გაჰკრავ ასანთს იმის გასაგებად, თუ კასრში რამდენი დენთია.

ყრუ ქირურგები ნარკოზს არ იყენებენ.

შეძლება ის არის, როცა თქვენი სახლის ჰოლში ბეჰემოთიანი აკვარიუმი დგას და ეს სულაც თვალში საცემი არ არის.

წვიმის ამულეტი, ანუ ავგაროზი ქოლგაა. თუ ის თან გაქვთ, წვიმა ნამდვილად არ მოვა.

თუ დაუძახე, ძაღლი მაშინვე მოირბენს, კატა ცნობად მიიღებს.

ბროლის კუბო მძინარე მეფის ასულის ერთადერთი მზითვი იყო.

გრძნობებით თუ თამაშობ, ყოველთვის წაგებული იქნები.

ვიცი, რაღას არ იტყვის კაცი, ოღონდ რამე არ წამოაყრანტალოს

რათა მტრები არ გაიჩინო, მეგობრებს ნუ მოიმრავლებ.

სუყველას თუ ერთნაირ ხელფასს დავუნიშნავდით, შურის ადგილს სიზარმაცე დაიჭერდა.

თუ სხვისი ჭორების მოსმენა არ გინდა, შენი მონაჭორი გაავარცელე.

იმის მტკიცება, რომ სინდისი თუ არა გაქვს, ძნელია ცხოვრება, დღემდე დამტკიცებული არ არის.

გადაწყვეტილება, რომ კონსერვის ქილას შეგონებით გახსნი, ცრუმეცნიერულია.

სახელი თუ გაქვს, ჭკუა აღარ გინდა.

შეკრიბა
გურამ წიკლაურმა

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4313; ევრო - 2.5959;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0270;
100 რუბლი - 4.3139; თურქული ლირა - 0.6676;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4086;
1000 სომხური დრამი - 5.0296.

ამინდი 4 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge